პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი
ოთხშაბათი
29 აგვისტო
№ 201 (17546)
ფასი 2 კაპ.

ერთიანი ფრონტით, საერთო ძალ-ღონით!

ერთ, რომელშიც ჩვენ, საბჭოთა ადამიანები ვცხოვრობთ და ვმუშაობთ, აღსავსეა შემოქმედებითი წვითა და დუღილით, ადამიანთა ინიციატივისა და თვითმოქმედების გამოვლენის არნახული დონითა და მასშტაბით. სხვანაირად არც შეიძლება. კომუნისტური მშენებლობის უბადლო გეგმები და ამოცანები დღის წესრიგში აყენებს უფრო ეფექტიანი, უფრო ქმედითი ფორმებისა და საშუალებების მუდმივ ძიებას.

ჩვენ გვახარებს მიღწევები ეკონომიკის სფეროში, გვახარებს ის, რომ სულ რამდენიმე წლის წინათ საშუალო საკავშირო დონესთან შედარებით სერიოზულად ჩამოჩრენილი ჩვენი რესპუბლიკა დღეს სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგებით ქვეყნის მოწინავე პოზიციებზე გავიდა.

მაგრამ მიღწეული ვერ დაგვაკმაყოფილებს. როგორც სკკპ XXV ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, „რაც უფრო მეტად ვითარდება ჩვენი საზოგადოება, მით უფრო შეუწყნარებელი ხდება სოციალისტური ზნეობის ნორმებიდან გადახვევა, რასაც ჯერ კიდევ ვაწყდებით“.

შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ მთელი უკანასკნელი წლების მანძილზე დისციპლინის ყოველმხრივი და ყველა ღონისძიებით განმტკიცებისათვის, ჩვენს რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის ბრძოლა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მთელი მოღვაწეობის მთავარი მიმართულებაა. ამ ბრძოლას ემსახურება პარტიულ-ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობა, ადამიანთა შრომითი და ზნეობრივი აღზრდა.

და მაინც ძალიან დამაფიქრებელია, რომ თუ მიმდინარე ხუთწლედის განვლილ წლებში ეკონომიკის სფეროში კარგი პოზიტიური ძვრებია, მართლწერხრიგის განსამტკიცებლად განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგები სრულიადაც არ გვაკმაყოფილებს. ამიტომ დღის წესრიგში დგება უფრო ქმედითი ფორმებისა და საშუალებების გამოყენება, ამ ბრძოლისადმი უფრო შემოქმედებითი მიდგომა.

უკანასკნელ ხანს ჩვენს რესპუბლიკურ პარტიულ ფორუმებზე, პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებებსა თუ სხვადასხვა თათბირზე მრავალჯერ ხაზგასმით ითქვა, რომ საჭიროა კიდევ უფრო გავაფართოოთ და გავაძლიეროთ ნეგატიური მოვლენებისა და ანტისაზოგადოებრივი ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლა, რომ ამ საქმეში შესვენება არ შეიძლება, რომ ამ ეტაპზე ეს ბრძოლა უფრო მწვავე და დაუნდობელი უნდა იყოს. ამის თაობაზე განსაკუთრებით პრინციპული ლაპარაკი იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმზე, რომელიც შარშანწინ დეკემბერში გაიმართა. პლენუმმა მხარი დაუჭირა შესანიშნავ სიახლეს, რომელიც გულისხმობს მუშაობის ისეთ ორგანიზაციას, როცა კოორდინირებული იქნება ჩვენი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, ადმინისტრაციული ორგანოებისა და მთელი საზოგადოებრივობის ძალები ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ფართო და უფრო შემტევი ბრძოლისათვის.

სწორედ მაშინ, ამ პლენუმზე, ნაყოფიერი და ჯანსაღი პრაქტიკული საქმიანობისათვის გზა დაელიცა ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის და დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო კომისიას, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შეიქმნა. ეს იყო დიდი და კეთილი საქმის პირველი ულორტი, პირველი აღმოჩენები.

დღეს ასეთი კომისიები მოქმედებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყველა განყოფილებასთან, ყველა პარტიულ კომიტეტთან, სამინისტროებთან და უწყებებთან, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციებთან.

მოსაწონია პარტიის ქობულეთის რაიკომთან არსებული დისციპლინის განმტკიცებისათვის და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის კომისია (ხელმძღვანელი — პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ბ. ჯიქია). გარდა იმისა, რომ ეს კომისია ერთიანებს სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით სხვადასხვა ქვეკომისიას, რაიონის ზონების მიხედვით მოქმედებენ და მდგომარეობას აკონტროლებენ ოპერატიული ჯგუფები. ისინი ადგილებზე სწავლობენ დარღვევათა მიზეზებს, ხვდებიან მოსახლეობის წარმომადგენლებს, ოპერატიულ ინფორმაციებს აწვდიან კომისიას დანაშაულის ფაქტისა თუ უკვე მიღებული გადაწყვეტილების განხორციელების მიმდინარეობის შესახებ. კონკრეტული და საქმიანია კომისიის პერსპექტიული და კვარტალური გეგმები, რომლებშიც სხდომებზე განსახილველ საკითხებთან ერთად გათვალისწინებულია რეიდები, სხვა ოპერატიული ფორმები.

საყურადღებო გამოცდილება დააგროვეს პარტიის თბილისის კომიტეტთან, დედაქალაქის ოქტომბრისა და სხვა რაიკომებთან, აფხაზეთის საოლქო კომიტეტთან, პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტთან შექმნილმა კომისიებმა. ჩვეულებრივ ამ კომისიების მუშაობაში მონაწილეობენ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, ადმინისტრაციულ ორგანოთა წარმომადგენლები. და მაინც კომისიები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიიღონ, ღრმად ჩახწვდნენ ნეგატიური მოვლენების მასაზრდოებელ ფესვებს, მაგრად მოჰკიდონ ხელი და ამოძირკვონ ისინი. თავიანთ მუშაობაში კომისიები ითვალისწინებენ მშრომელთა კოლექტივების, მოსახლეობის აზრს, რისთვისაც აწყობენ სოციოლოგიურ გამოკითხვებს, აანალიზებენ შენიშვნებსა და წინადადებებს. ამ მასალებს თავიანთ სხდომებზე განიხილავენ, ხოლო საუკეთესო რეკომენდაციები პრაქტიკაში ინერგება. კომისიები უკეთ იყენებენ სხვადასხვა თვალსაჩინოებასაც, საოლქო, საქალაქო, რაიონულ პრესას.

ერთი რამ არის განსაკუთრებით საგულისხმო და უყურადსაღები: ბევრ კომისიას გამოუშავებული აქვს თავისი სტილი. სწორად იქცევიან ის, სადაც ბრმად კი არ ბაძავენ სხვათა მუშაობას, სხვათა გამოცდილებას, არამედ თავიანთი ადგილობრივი პირობებისა და მდგომარეობის გათვალისწინებით შემოქმედებითად იყენებენ მას. და ეს ბუნებრივიც არის. თუ ერთგან კერძომესაუთრულმა ტენდენციებმა იმძლავრა, შეიძლება მეორეგან პრობლემად გადაიქცა მხოლოდ მცირეწლოვანთა დანაშაული ან სხვა რამ ნეგატიური მოვლენა. აი, რატომ არის გადაუდებლად საჭირო, რომ მიუხედავად ოპერატიული მუშაობის ხასიათისა, დისციპლინის განმტკიცებისათვის და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის კომისიებს უნდა ჰქონდეთ შეტად კონკრეტული, ადგილობრივი მდგომარეობის ღრმა ცოდნით შედგენილი გეგმები.

მაგრამ რა კონკრეტულობაზე შეუძლია ლაპარაკი პარტიის ლენინგრადის რაიკომთან არსებული მუდმივმოქმედი საკოორდინაციო კომისიის წევრებს, როცა, მაგალითად, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მხოლოდ ერთი სხდომა მოიწვიეს და განხილული 14 საკითხიდან არცერთი არ იყო კვარტალური გეგმით გათვალისწინებული. საერთოდ ამ კომისიის სხდომებს ეშვიათად იწვევენ. შარშან 12 ივნისს ჩატარებული სხდომის შემდეგ წლეულს 10 ივლისამდე მხოლოდ ერთხელ შეიკრიბნენ.

რა თქმა უნდა, ეშმარიტ საქმიანობას მარტო სხდომების მოწვევა როდი განსაზღვრავს, მაგრამ სამწუხაროა ის არის, რომ რაიონში შესაბამის პერიოდთან შედარებით საგრძნობლად მოიმატა დანაშაულმა.

შუა გზაში მიტოვებული ყოველი საქმე რომ დიდად ზარალობს, ამას მტკიცება რომდი სჭირდება. ეს განსაკუთრებით შეუწყნარებელია იმ დიდ ბრძოლაში, რასაც ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ვეწევით. სამწუხაროდ, ზოგან ბოლომდე ვერ მიჰყავთ ხოლმე კარგად დაწყებული საქმე. მაგალითად, პარტიის წითელწყაროს რაიკომთან არსებულმა დისციპლინის განმტკიცებისათვის და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის კომისიამ განზრახა შეეწყვეტა და საზოგადოებრივ შრომაში ჩაება რაიონში მცხოვრები ყველა შრომისუნარიანი წევრი. სწორედ ამ მიზნით შრომითი რეზერვების გამოვლინებისა და გამოყენების ქვეკომისიამ ნაყოფიერად იმუშავა კიდეც ხუთ სოფელში, მაგრამ, ჩანს, ენთუზიაზმი ბოლომდე არ ეყოთ და რაიონის სხვა სოფლებს ვეღარ მიხედეს.

ბუნებრივია, კომისიათა მუშაობის სტილისათვის, ფორმებისა და მეთოდებისათვის, ხასიათისათვის, რეგლამენტისათვის ყველგან ერთნაირი რეცეპტი არ გამოდგება. ეს ადგილებზე თვითონ შემოქმედებითად უნდა გაიაზრონ და გადაწყვიტონ. მთავარია მონდომება, ინიციატივა და აქტიურობა, ამასთან უკვე შეძენილი გამოცდილების ფართოდ განზოგადება-გავრცელება.

ამ მხრივ კი პირველი სიტყვა პარტიის საოლქო, საქალაქო რაიონულმა კომიტეტებმა უნდა თქვან. სწორად მოიქცნენ ის პარტიული კომიტეტები, რომლებმაც ბიუროთა სხდომებზე, პლენუმებზე მოისმინეს დისციპლინის განმტკიცებისათვის და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის კომისიების მუშაობის ანგარიშები. მთავარია ყველგან კარგად ესმოდეთ კომისიათა ეშმარიტი როლი და ფუნქცია, საჭიროა არა ხმაური და ბაქი-ბუქი, არამედ დანაშაულის ბუნების შესწავლა და სწრაფი ეფექტიანი ბრძოლა. საკოორდინაციო კომისიები არ უნდა წარმოვიდგინოთ ისეთ ორგანოებად, რომლებიც შეცვლიან პარტიის რაიკომს, რაისაბჭოს აღმასკომს ან რომელიმე ადმინისტრაციულ ორგანოს, არ უნდა მოხდეს ფუნქციების აღრევა. აქ საჭიროა დიდი სიფრთხილე, დაკვირვებულობა.

მაგალითად, პირველ ხანებში პარტიის ამბროლაურის რაიკომთან შექმნილ კომისიის სხდომებზე საკითხთა დონე და მოცულობა სრულიადაც არ განსხვავდებოდა რაიკომის ბიუროზე განსახილველი საკითხებისაგან, ხდებოდა ეგრეთ წოდებული დუბლირება. ყოველივე ამის გამო თავის დროზე სწორად მიუთითა ამბროლაურელ კომუნისტებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. აღსანიშნავია, რომ ახლა ამ მხრივ იქ საქმე უკეთესად აეწყო.

პარტიულ კომიტეტებთან არსებულ ამ კომისიათა მუშაობის შესწავლა-ანალიზი ცხადად მოწმობს, თუ რაოდენ სწორია მათი დანიშნულება, რაოდენ დიდია მათი მოცალეობა და ის პრაქტიკული დახმარება, რომელსაც ისინი პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, ადმინისტრაციულ ორგანოებს, მთელ საზოგადოებრივობას უწევენ. საკითხები, რომლებსაც კომისიები სწავლობენ და განიხილავენ, რეაგირებისათვის სათანადო ორგანიზაციებს ეგზავნება. კომისიათა მიერ წამოჭრილი ბევრი საყურადღებო საკითხი, პრობლემა პარტიის რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტების ბიუროთა მსჯელობის საგნად ქცეულა.

ოპერატიულობა ნაჩქარევი და მოუფიქრებელი გადაწყვეტილებების მიღებას როდი ნიშნავს. პირიქით, ოპერატიულობა იმაში გვეხმარება, რომ „ცხელ კვალზე“ მივყვეთ საქმეს, ამასთან თითოეული ღონისძიება კარგად, დაკვირვებულად უნდა ავწონ-დაწონოთ, დაკვრწმუნდეთ მის სარგებლიანობაში და დაუყონებლივ ვიმოქმედოთ.

ვ. ი. ლენინი ხომ მუდამ აფრთხილებდა კომუნისტებს: „არანაკლებ საშიში ბოროტებაა ორგანიზაციული ფაციფუცი, ანუ ორგანიზაციული პროფეკტორობა“.

რა თქმა უნდა, ყოველთვის გამიზნულად, საქმიანად და საზრიანად რომ მოქმედებდნენ პარტიის გორის, ახმეტის, წალენჯიხის რაიკომებთან და სხვა პარტიულ კომიტეტებთან არსებული კომისიები, განა თავიანთ სამოქმედო რაიონებში შემცირების ნაცვლად მოიმატებდა დანაშაული?!

სამწუხაროდ, ზოგან კომისიის წევრები აქტიურად ვერ იყენებენ მაკონტროლებელი ორგანოების, სახალხო კონტროლის ჯგუფების, „კომკავშირული პროფეკტორის“ შტაბების შესაძლებლობებს. ზოგიერთი ორგანოს წარმომადგენელი ცდილობს არა თუ საჯარაოზე გამოიტანოს, არამედ მიაჩუმათოს კიდეც ნაკლოვანებანი. ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე, რომელიც მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მომსახურების სფეროში არსებული ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის შედეგების განხილვას მიეძღვნა, აღინიშნა, რომ ხანგრძლივი დროის მანძილზე საუწყებო კონტროლმა 250-ჯერ შეამოწმა რამდენიმე გასტრონომიული მაღაზია, და რევიზორები ყოველი შემოწმების შემდეგ აცხადებდნენ, ამ სავაჭრო საწარმოებში ყველაფერი რიგზეაო. როგორც შემდეგ გამოირკვა, თურმე ამ მაღაზიებში დიდძალი სახელმწიფო სახსრები დაუტაცებიათ.

არავითარი მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ ყოველი ახალი ფორმა დროის გამოცდას გადის. იგი არ შეიძლება იყოს თავიდანვე, და მით უმეტეს ყველგან, ყოველმხრივ სრულყოფილი. უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს კონტაქტებს საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელ ინსტიტუტებთან და ორგანიზაციებთან. დისციპლინის განმტკიცებისათვის და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის კომისიების ხელმძღვანელების აზრთა ურთიერთგაზიარებამ რასაც პერიოდულად აწყობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, კიდევ უფრო მეტი სიცხადე შეიტანა ამ კომისიათა საქმიანობის არსში, ხასიათსა და ფუნქციებში.

— როცა ჩვენს საზოგადოებაში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომ გაძლიერებაზე ვლაპარაკობთ, — აღნიშნავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ე. შევარდნაძე, — მხედველობაში გვაქვს, რომ უთუოდ ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ კიდევ უფრო მეტია გასაკეთებელი. ამიტომ ხაზს ვუსვამთ, რომ გაწეული მუშაობა არ გვაკმაყოფილებს, მოგვიწევს კიდევ უფრო რთული და დიდი მუშაობა ამ ფრონტზე“.

დიდია დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენი რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო, რაიონული პრესის, რადიოსა და ტელევიზიის როლი, რომლებიც როგორც პარტიული კომიტეტების ორგანოები, მხარში უნდა ამოუდგნენ ამ კომისიებს, დროდადრო განაზოგადონ მათი საუკეთესო გამოცდილება, ამასთან მკაცრად გააკრიტიკონ უხალისოდ, უინიციატივოდ მომუშავენი, რომლებიც ივიწყებენ პარტიის მითითებას, რომ ერთი წუთითაც კი არ შეიძლება თვალი მოვუხუჭოთ დამნაშავეობასა და სხვადასხვა ნეგატიურ მოვლენებს, რომ საზოგადოებრივი დისციპლინისა და კანონიერების განმტკიცება ჩვენი მომავალი წარმატებების თავიდათავია.

ასამოქმედებელ ობიექტებზე



რუსთავის ქიმიურ ქარხანას მთელი საბჭოეთი აშენებს



მშენებლობის მასშტაბურობა რუსთაველებისათვის დიდი ხანია ნაცნობი ამბავია. მათი უმრავლესობა ხომ ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის გიგანტების — მეტალურგიული, ქიმიური, ცემენტის ქარხნებისა და სხვა დიდი საწარმოს დაბადების მოწმეა. მათი თანდასწრებით და თანამონაწილეობით აშენდა რუსთავიც, დღეს რომ ქალაქ-წალკოტად იქცა. რუსთაველ მშენებლებს თავიანთი მაღალი ოსტატობით ბევრი გაუკვირვებიათ ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც, მაგრამ თვითონ გაკვირვებას ვერ გადაეჩვევნენ.

დიახ, ვერ გადაეჩვევნენ და ალბათ მათი ძალაც ეს არის. როცა კაცს აღარ უკვირს რა, იგი ინერტული, საქმისადმი გულგრილი და თავის თავში დარწმუნებული დილეტანტი ხდება. აბა, განა შეიძლება არ გაკვირდეს და აღტაცებული არ იყო რუსთავის ქიმიური ქარხნის ახალი გიგანტური სიმძლავრეების მშენებლობის მაშტაბურობით?

ოფიციალურ დოკუმენტებში ჩაწერილია, რომ ხორცელდება ამიაკისა და მინერალური სასუქების საწარმოების გენერალური რეკონსტრუქცია. სიტყვა რეკონსტრუქცია ამ შემთხვევაში შეფარდებითად უნდა გავიგოთ. იმიტომ, რომ სინამდვილეში შენდება მთლიანად ავტომატიზებული ახალი კომპლექსები, რომელთა ტექნოლოგიური პროცესების მართვა ცენტრალიზებული პულტიდან მოხდება. უკვე მიმდინარე წლის დაწყებისათვის სიმძლავრეთა პირველმა რიგმა უნდა უზრუნველყოს 200 ათასი ტონა ამიაკის, 450 ათასი ტონა ამიაკის გვარჯილის და 372 ათასი ტონა სუსტი აზოტმჟავას გამოშვება.

უკვე კოლოსალური მოცულობის სამუშაოები შესრულდა, მაგრამ გასაკეთებელი მაინც ბევრია. მარტო ის რად ღირს, რომ მშენებლობასთან დაკავშირებული სხვადასხვა დიამეტრის მილების გაყვანილობის საერთო სიგრძე ბევრად გადააჭარბებს 100 კილომეტრს, ხოლო კავშირგაბმულობის სადენების გაყვანილობისა 40 კილომეტრზე მეტი იქნება. ასეთი ციფრების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა გაგვიგრძელებინა.

დღეს რუსთავის ქიმიური ქარხნის მშენებლობის შესახებ ისეთ ორგანიზაციებშიც კი მსჯელობენ, რომლებიც, ერთი შეხედვით, სრულებითაც არ არიან დაკავშირებული მშენებლობასთან, და ეს გასაგებია. ახალი სიმძლავრეების დროულად, საექსპლოატაციოდ გადაცემა ხომ მთელი ქალაქის ერთ ოჯახად მცხოვრებ მშრომელთა ღირსების საქმეც არის.

მშენებლობის მთავარი მოიჯარადრე ორგანიზაცია № 1 სამშენებლო ტრესტის „მეტალურგმშენის“ კოლექტივიანტრესტის მმართველი კარლო გოგიჩაიშვილი ქარხნის რეკონსტრუქციის შტაბსაც ხელმძღვანელობს, ეს კაცი მთელი თავისი სულითა და გულით საქმით არის გატაცებული. ხუმრობა როდია ისეთი მშენებლობის მართვა, რომელშიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული 33 საშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაცია მონაწილეობს. მოსკოვი, ლენინგრადი, კალინინგრადი, კიშინიოვი, ვორონეჟი, ნიჟნეკამსკი, ბაქო. აი იმ ქალაქთა არასრული სია, რომლებმაც დახმარების ძმური ხელი გაუწოდეს რუსთაველ მშენებლებს და შემართებით შეუდგნენ მუშაობას. ერთი სიტყვით, აქ მშენებელთა მთელი არმიაა.

შტაბში განუწყვეტლივ მოდიან სამშენებლო სამმართველოების, უბნების, კომპლექსური ბრიგადების ხელმძღვანელები. ყველა საკითხი ოპერატიულად წყდება. შტაბის უფროსი უხილავად ხედავს თითქმის 29 ჰექტარზე გაშლილ სამშენებლო მოედანს და დაუყოვნებლივ იძლევა განკარგულებებს.

ჩვენი თხოვნით კ. გოგიჩაიშვილმა სიამოვნებით გაგვაცნო მშენებლობის მიმდინარეობა. შეკითხვაზე, შეძლებენ თუ არა მშენებლები სიმძლავრეთა საექსპლოატაციოდ თავის დროზე გადაცემას, მან გვიპასუხა, აქ ორი აზრი არ უნდა არსებობდეს: რუსთავის ქიმიური ქარხნის ახალი ობიექტები თავის დროზე ჩაგვებიან მწყობრში. საორგანიზაციო და ტექნიკური ხასიათის სიძნელეები ძალიან ბევრია, მაგრამ მათი გადალახვა მოხერხდება. წლის პირველი და მეორე კვარტალის ჩამორჩენა დაძლეულია. სამუშაოთა მიმდინარეობა თავის კალენდარში დგება. მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ ყველა ორგანიზაცია, რომელიც კი დაკავშირებულია ქარხნის მშენებლობასთან, ერთნაირი პასუხისმგებლობით ეკიდებოდეს საქმეს. ეს უპირველესად რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს „მშენინდუსტრიის“ (მმართველი—ნ. ჩაჩუა) და მექანიზაციის (მმართველი. — თ. ბელტიხინი) ტრესტებს ეხებათ. პირველმა ვერ უზრუნველყო სამშენებლო კონსტრუქციების მოწოდება კავშირგაბმულობის საამქროს ასაგებად, ხოლო მეორემ—მექანიზმების დამატებითი გამოყოფა სამუშაოთა ტემპის გასაძლიერებლად. ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ გადამწყვეტი ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად. აგვისტოც მიიწურა, დრო აღარ ითმენს, ძვირფასია ყოველი წუთი. მშენებლობას მუშახელიც აკლია, განსაკუთრებით კი მემონტაჟეები.

შესანიშნავად შრომობენ კიშინიოვის „მოლდავმრეწმონტაჟის“, ნიჟნეკამსკის, „თბილმონტაჟის“ და ლენინგრადის „სპეცმანქანამონტაჟის“ ტრესტების სამშენებლო სამმართველოების წარმომადგენლები ა. პოდკანტერის, ა. ვანგინის და ს. პარვიკის ხელმძღვანელობით. სტუმრებთან არის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული და კარგ შედეგებსაც აღწევს ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის“ № 4 სამშენებლო სამმართველოს უბანი, რომელსაც მ. ასანიძე თავკაცობს. ამ უბნის კოლექტივის წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი ნ. ნადირაძისა და ი. ჯავახიშვილის კომპლექსურ ბრიგადებს შეაქვთ. ქებით იხსენიებენ აგრეთვე № 8 სამშენებლო სამმართველოს უბანს, რომლის უფროსიც ე. ჭელიძე გახლავთ.

არ ყოფილა ისეთი დღე, რომ ქარხნის რეკონსტრუქციის შტაბში მშენებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხზე არ ემსჯელათ. მშენებლობაზე ჩამოსული მუშები და მოსამსახურეები შესანიშნავად მოწყობილ საერთო საცხოვრებლებში ცხოვრობენ, დიდი ესთეტიკური გემოვნებით აშენებულ, სუფთა, ქალაქთა სასადილოებში მაღალხარისხოვანი კერძების სიუხვეა.

როგორც ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ჯ. რუხაძემ და პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგემ გ. ბარამიძემ გვითხრეს, შემკვეთისა და მთავარი მოიჯარადრის შორის შეთანხმებული ურთიერთობა მკვიდრდება.

მაშ ასე, რუსთავის ქიმიური ქარხნის მშენებლობაზე ოპტიმიტური განწყობილებაა. სარეკონსტრუქციო შტაბის ხელმძღვანელობა დიდ მადლობას გამოთქვამს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართ, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი ასეთ ატმოსფეროს შექმნას. მისი ყოველდღიური, შეუნელებელი ხრწნვის შედეგია ის ფაქტი, რომ მშენებლობა წელში გაიმართა და დღეს უზრუნველყოფილია ყველაფრით, რათა იგი ვადამდე დაგვირგვინდეს.

შ. ამაშუკელი,
„კომუნისტის“ სპეც კორ.

● ●

ᲐᲮᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ რუსთავის ქიმიური ქარხნის რეკონსტრუქცია. მშენებლებსა და მემონტაჟეებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი გრაფიკი გათვალისწინებულზე ადრე ჩაბარონ საექსპლოატაციოდ ამიაკის, სუსტი აზოტმჟავისა და ამონიუმგვარჯილის საამქროები.

სურათებზე: ზემოთ: მოწინავე კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი, ახალგაზრდა კომუნისტი ბადრი ბოკუჩავა; ამიაკის წარმოების № 3 კომპლექსის მთავარი კორპუსი.

ᲖᲔᲠᲛᲘᲡ ᲝᲚᲥᲘ. ახამოქმედებლად მზადდება პერმ-ყაზან-გორკის გაზსადენის მეორე ხაზის 187-კილომეტრიანი უბანი. **სურათზე:** მარცხნივ — საექსპლოატაციოდ გადასაცემი პერმ-ყაზან-გორკის გაზსადენის მეორე ხაზის უკანასკნელი კილომეტრები; „ალმოსავლეთნავთობსადენმშენის“ ტრესტის № 1 სამშენებლო სამმართველოს მშენებლები უახლოვდებიან კამის მარცხენა ნაპირს; მარჯვენა — ტრესტის № 1 სამშენებლო სამმართველოს ელექტროშემდუღებელ ალ. ბოგატოვ-ბოგატოვის ბრიგადა.

ᲡᲠᲣᲚᲘ საბრძოლო მზადყოფნით შეხვდნენ ყამირულ მკას ყაზახეთის მხვნელ-მთესველები. პავლოდარის ოლქში გამოცდილ მიწათმოქმედთა გვერდით ათასობით ახალგაზრდა მექანიზატორი მუშაობს. **სურათზე:** შუაში — ლუბოვ კონოში, შაკურა შედერბაევა, საბირა მუსტაფინა, ფრიდა შრაიტელი და ვალენტინა კრავჩენკო (მარცხნიდან), რომლებმაც შარშან თავი ისახელეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადაზიდვისას, მოსავლის აღების დრო მარცვლეულს ახელობითი მანქანებით გადაზიდავენ.

ᲧᲐᲖᲐᲮᲔᲗᲘᲡ ყამირზე გაჩაღებულია მკა. მაღალი შრომითი აღმავლობით მუშაობენ კუსტანაის ოლქის მხვნელ-მთესველები. **სურათზე:** მარჯვნივ — მკა საბჭოთა მეურნეობა „ყაზახსტანეცში“; ე. ზაგულიაევის, ვ. დავიდოვის და ნ. კუზნეცოვის ფოტო (საკლესის ფოტოქრონიკა).

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ



ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲓᲐᲜ ᲒᲕᲬᲔᲠᲔᲑᲗ

ᲤᲐᲜᲢᲐᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘᲐ!

◆ თბილისის ოთხა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის წარმატება ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალზე ფენომენალურად აღიარეს

◆ საქართველოს სსრ სახალხო არტისტს რამაზ ჩხიკვაძეს „კავკასიელი ოლივიე“ უწოდეს.

„გაუზვიადებლად შეგვიძლია ამ კოლექტივის წარმატებას ფენომენალური ეწოდოთ“ — ასე შეაჯამა მოტლანდიის ერთ-ერთმა გაზეთმა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის გამოსვლები ედინბურგში, სადაც ამ დღეებში მიმდინარეობს ხელოვნების ტრადიციული საერთაშორისო ფესტივალი.

ორი სპექტაკლი ჩამოიტანა თეატრმა მოტლანდიის დედაქალაქში — ბ. ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“ და უ. შექსპირის „რიჩარდ III“.

„ჩვენ მანამდე გავეცანით ამ დადგმებს, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს ფესტივალის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ი. კროუფორდმა. — ამიტომ დარწმუნებული ვიყავით, რომ საქართველოს ნიჭიერი და ორიგინალური კოლექტივი წარმატებას მოიპოვებდა, მაგრამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა მაყურებელთა მიერ თეატრის დადგმების აღქმამ“

კრიტიკოსთა აზრი ერთსულოვანი იყო, რეჟისურას ეხებოდა საქმე თუ მსახიობთა თამაშს. ქართული კოლექტივის სპექტაკლები უდავოდ მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა ფესტივალისა, აღნიშნა ლონდონის გაზეთმა „ობსერვერმა“.



შ. რუსთაველის სახელობის თეატრთან ედინბურგელთა ნაცნობობის რამდენიმე საღამო საუდამოდ დაამახსოვრდებათ მის მცხოვრებლს.

ამგვარ შეფასებას იძლევიან სხვა კრიტიკოსებიც. ამ შეფასებამ სავსებით გაამყარწყა ქართული დასის ზოგიერთი ექვი, როცა მან ედინბურგის ფესტივალის მაყურებელთა სამსჯავროზე გამოიტანა თავისი დადგმები. თეატრის რეჟისორი რობერტ სტურუა, არ მალავდა, რომ „კავკასიური ცარცის წრისა“ და „რიჩარდ III“ მისეული გადაწყვეტა „მოულოდნელი იქნებოდა ინგლისური აუდიტორიისათვის“.

მაგრამ ახლა ცხადია, რომ სწორედ ეს „მოულოდნელობა“ იყო თეატრის დიდი წარმატების ერთ-ერთი მიზეზი. ხელოვნებაში, წერდა გაზეთ „დეილი ტელეგრაფის“ რეცენზენტი, ჩემთვის ორიენტირია ტრადიციების სიწმინდე. ჩემთვის მაგალითად, აუტანელია, როცა შექსპირის ტრაგედიების ტექსტებს მეტისმეტად თავისუფლად ექცევიან. მაგრამ როცა გავეცანი „რიჩარდ III“ ქართულ ინტერპრეტაციას, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა: ეს ფანტასტიკურია!“

მთავარი როლების შემსრულებელი — რამაზ ჩხიკვაძე აქ ერთსულოვნად მიაჩნიათ ერთერთ საუკეთესო მსახიობად. ინგლისელებისათვის ნებისმიერი დრამატული მსახიობის ოსტატობისა და ნიჭის უმაღლესი შეფასებაა მისი შედარება ლორდ ლოურენს ოლივიესთან: რამაზ ჩხიკვაძეს „კავკასიელი ოლივიე“ უწოდეს. მის მიერ შექმნილი სახეები დაუვიწყარია, აღნიშნავდა გაზეთი „გარდიანი“.

მაგრამ ბრწყინვალეა არა მარტო იგი, აღნიშნავდა თავის მხრივ „სანდი ტელეგრაფი“, არამედ მთელი დასი, მათ შორის თ. დოლიძე და გ. საღარაძე, გ. ხარაბაძე და ი. გიგოშვილი. შესანიშნავია სპექტაკლების მხატვრული გაფორმება და შესრულება.

გაზეთი „ობსერვერი“, რომელმაც შეაჯამა ქართველ მსახიობთა გამოსვლის შედეგები, წერდა: „სამწუხაროა, რომ რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლები დამთავრდა, და დასი მალე სამშობლოში დაბრუნდება. თეატრალური ხელოვნების მოყვარულებზე

ჩვენს დედაქალაქს — სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი!

როგორც „კომუნისტის“ მკითხველებმა უკვე იციან, მიმდინარე წლის 22 აგვისტოს გაიმართა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მესამე პლენუმი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა რესპუბლიკის დედაქალაქის ფართო აქტივი.

პლენუმმა განიხილა საკითხი — თბილისის XXXVII საქალაქო პარტიული კონფერენციის მოთხოვნათა შესაბამისად კანონიერების შემდგომი გაღრმავებისა და სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამკვიდრებისათვის ქალაქის პარტიული, საბჭოთა, ადმინისტრაციული ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის მდგომარეობა და მათი ამოცანები.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ნ. ენდელაძემ.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. მენთეშაშვილმა.

განხილული საკითხის გამო პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება.

პლენუმმა მეტად საქმიან, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში, მაღალი მომთხოვნელობის, პარტიული პრინციპულობის ნიშნით ჩაიარა. ეს სულისკვეთება კი ნაკარნახევი იყო XXXVII საქალაქო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებით, კონფერენციისა, რომლის დიდი ტრიბუნიდან საბრძოლო მოწოდებად გაისმა ლამაზად, ლაკონიურად ნათქვამი ღრმაშინაარსიანი და ამაღელვებელი სიტყვები:

„თუ ნამდვილი თბილისელი ხარ, თუ შენთვის ძვირფასია მშობლიური ქალაქი, თუ ნამდვილად გიყვარს იგი, არა მარტო უნდა სარგებლობდე იმ სიკეთით, რომელსაც ხალხი ქმნის, არამედ თბილისს უზიარებდე საკუთარი სულის ნაწილს, ცდილობდე იგი გადააქციო სანიმუშოდ, პირადად ებრძოლო იმ არაჯანსაღ ელემენტებს, რომლებიც ჩირქს სცხებენ მის სახელს, ლახავენ მის პრესტიჟს, ებრძოლო ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ყველა ანტიპოდს“...

სწორედ ყველა ჯურის ანტიპოდების, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის ფართო პროგრამა დასახა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მესამე პლენუმმა და კონკრეტულად განსაზღვრა ამ დიდ ბრძოლაში თითოეული თბილისელის, ქალაქის პარტიული და საზოგადებრივი ორგანიზაციების როლი და ადგილი.

თუ ნამდვილი თბილისელი ხარ!

ეს შენიც, ჩემიც, ყველას საქმეა!

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მესამე პლენუმი

პროგლემები, რომლებიც პლენუმზე განიხილეს და რომელთა გადასაჭრელადაც კოლექტიური რეკომენდაციები შემუშავდა, ყველა თბილისელს, და არა მარტო თბილისელს, საქართველოს თითოეულ მშრომელს ალელვებს. თბილისი საქართველოს გულია და მისი სრული სიჯანსაღე მთელ საქართველოს არგებს. ამიტომაც კიდევ უფრო მატულობს თბილისის პარტიული ორგანიზაციების, აქტიური კომუნისტების, თითოეული მშრომელის პასუხისმგებლობა იმ შესანიშნავი მოწოდების განსახორციელებლად, რომელიც XXXVII საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე გაისმა: თბილისი უნდა გადავაქციოთ სანიმუშო ყოფა-ცხოვრებისა და სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის ქალაქად!

მაღალი დისციპლინა, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი კი ის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელსაც წინსვლა და სიკეთე მოაქვს ყველგან, ყოველთვის, ყოველ ნაბიჯზე. სწორედ ის მიზანსწრაფული ბრძოლა, რომელიც პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის თებერვლის დადგენილების შემდეგ აქტიურად და მწვავედ გაიშალა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ცხოვრების ყველა უბანზე, საქალაქო პარტიული ორგანიზაციის, თბილისის მშრომელთა მიერ ეკონომიკურ და სულიერ განვითარებაში მოპოვებული წარმატებების თავიდათავია.

და ეს ჭეშმარიტება, რომელიც შესანიშნავად არის განმარტებული და ახსნილი საქართველოს კომპარტიის ბოლო წლების საქმიანობის თაობაზე მიღებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებაში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებისა და პარტაქტივის კრებების მასალებში, კიდევ უფრო ღრმად შეიცნეს ქალაქის პარტიულმა, საბჭოთა, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, რომელთაც XXXVII პარტიული კონფერენციის შემდეგ კიდევ უფრო აქტიურად გაშალეს მუშაობა პარტიული და სამეურნეო საქმიანობის ყველა რგოლში ორგანიზებულობისა და პასუხისმგებლობის ასამაღლებლად. ადამიანთა კომუნისტური აღზრდის გასაუმჯობესებლად. დღეს უფრო გააზრებულად მიმდინარეობს ბრძოლა ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებებთან, მათს კონკრეტულ მატარებლებთან.

ამ ბრძოლას ახალი შინაარსი და გაქანება მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, რომელშიც ჩამოყალიბებულია მთელი აღმზრდელობითი საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მაგისტრალური მიმართულებანი.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მესამე პლენუმის განსახილველად დასმული საკითხიც სწორედ ამ დადგენილების შუქით უნდა განათებულიყო, ამასთან პლენუმს უნდა გაეცა პასუხი, თუ როგორ სრულდება XXXVII საქალაქო პარტკონფერენციის გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია საზოგადოებრივი წესრიგის შემდგომი განმტკიცება, კანონიერების დაცვა, დამნაშავეობის წინააღმდეგ, ჩვენი საზოგადოებისათვის ისეთი უცხო მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, როგორიც არის სახელმწიფო და პირადი ქონების ქურდობა-დატაცება, მექრთამეობა, მუქთახორობა, სპეკულაცია...

სწორედ საქალაქო პარტიულმა კონფერენციამ, როცა მოიყვანა ამ მხრივ გაწეული მნიშვნელოვანი მუშაობის დადებითი მაგალითები, ამასთან მთელი პირდაპირობით აღნიშნა, რომ დამნაშავეობის, ჩვენი სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმებისაგან სხვადასხვაგვარი გადახრების წინააღმდეგ ბრძოლის სიმწვავე და ეფექტიანობა ჯერაც სრულად არ შეესაბამება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ თბილისელი კომუნისტების, ქალაქის ყველა მშრომელის წინაშე დასახულ ამოცანებს.

ამიტომაც, ბუნებრივია, ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც ქალაქის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, მშრომელთა კოლექტივებში გამოიჩინეს პლენუმისათვის მზადების წინ, აგრეთვე ის საქმიანი განწყობილება, რომელიც პლენუმის მთელი მიმდინარეობისათვის იყო დამახასიათებელი.

როგორც საქართველოს კომპარტიაში, ისე თბილისის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში უკანასკნელ ხანს სულ უფრო ღრმად იჭრება და მკვიდრდება მუშაობის შემოქმედებითი სტილი. ეს სტილმა თავი იჩინა ახლაც, პლენუმის მომზადებისა და ჩატარების მთელ პერიოდში. პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მიმართვას ყველა მშრომელისადმი, რომ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ პლენუმის მომზადებაში, გამოეთქვათ თავიანთი სურვილები, შენიშვნები და წინადადებანი, მხურვალედ და დიდი ინტერესით გამოეხმაურა ბევრი თბილისელი. სწორედ ის მრავალრიცხოვანი წინადადებანი, კრიტიკული შენიშვნები ცხადად, დამაჯერებლად მოწმობს ადამიანთა მაღალ აქტიურობას, შეგნებას, სირთულეთა და პრობლემათა ღრმა გაგებას, იმ კეთილშობილურ მისწრაფებას, რომ რაც შეიძლება სწრაფად დამყარდეს სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი ყველგან და ყველაფერში, რომ თბილისი სულ მალე გადაიქცეს მართლაც რომ სანიმუშო ყოფა-ცხოვრებისა და სანიმუშო მართლწესრიგის ქალაქად.

სრული გულახდილობის ვითარებაში მიმდინარეობდა პლენუმის წინ გამართული საწარმო-დაწესებულებათა, უწყებათა შრომითი კოლექტივების, საზოგადებრიობის შეხვედრები პარტიის საქალაქო კომიტეტის წევრებთან და წევრობის კანდიდატებთან, სარევიზიო კომისიის წევრებთან. ყოველივე ამან შემდეგ ხელი შეუწყო პლენუმზე საკითხის ღრმად განხილვას, როგორც მოხსენების, ისე დადგენილების უფრო ცხოვრებისეული რეკომენდაციებით გამდიდრებას.

როგორია დღეს ჩვენს ქალაქში საზოგადოებრივი წესრიგი და რა უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ იგი სანიმუშო იყოს? — აი ის მოკლედ დასმული კითხვა, რომელსაც პლენუმის მასალების მიხედვით უნდა ვუპასუხოთ.

როგორც მოხსენებაში, ისე მოკამათეთა გამოსვლებში ნათლად აისახა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების, პროკურატურის, სასამართლოების, შინაგან საქმეთა ორგანოების, შრომითი კოლექტივების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და სასწავლებლების მიზანმიმართული მუშაობა პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. პლენუმზე მოიყვანეს მდიდარი სტატისტიკური და ფაქტიური მასალა. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ქალაქში მოხდა არა მარტო დამნაშავეობის სტაბილიზაცია, არამედ მიმდინარეობს მისი დონის მუდმივი შემცირების პროცესიც. შესაძლებელი გახდა აღგვეკვეთა მრავალი ბოროტმოქმედება, მათ შორის განსაკუთრებით საშიში.

ყოველივე ეს კი იმ დაძაბული, თანამიმდევრული და შინაარსიანი მუშაობის ნაყოფია, რომელსაც პარტიული ორგანიზაციები ადმინისტრაციული ორგანოების, მთელი საზოგადოებრიობის ღონისძიებათა კოორდინაციით აღწევენ. ეს განსაკუთრებით იგრძნობა პირველი მაისის, ორჯონიკიძის, კიროვის რაიონებში. არსებობის მოკლე დროში კარგი გამოცდილება შეიძინეს პარტიის თბილისის კომიტეტთან, ქალაქის რაიკომებთან შექმნილმა დისციპლინის განმტკიცებისათვის და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის კომისიებმა.

მაგრამ მიღწეული ვერავის ვერ დაამშვიდებს. დაამშვიდებს კი არა, როგორც პლენუმის მონაწილეებმა თქვეს, მდგომარეობა კვლავაც შემაშფოთებელია: ჯერ კიდევ ხშირია ხულიგნობის, ქურდობის, სპეკულაციის, მომხმარებელთა ზომა-წონასა და ანგარიშში მოტყუების ფაქტები. დამნაშავეობის შემცირების საერთო ციფრებს, საერთო მაჩვენებლებს ჩამორჩება ისეთ ბოროტმოქმედებათა შემცირების ტემპი, როგორიც არის მოქალაქეთა სიცოცხლის ხელყოფა, ბინების გაქურდვა და სხვა. საქარხნო, ოქტომბრის, კალინინისა და 26 კომისრის რაიონებში ასეთი დანაშაული გაიზარდა კიდეც. ბინების გაქურდვის მხრივ უარესი მდგომარეობაა ლენინის რაიონში. პლენუმმა ამ რაიონების პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, განსაკუთრებით ადმინისტრაციული ორგანოებისაგან მოითხოვა უფრო ქმედითი და ეფექტიანი ბრძოლა გააჩაღონ ასეთი ფაქტების აღსაკვეთად.

ისიც უნდა ითქვას, რომ პარტიული კომიტეტები ყოველთვის ზუსტად ვერ წარმართავენ ადმინისტრაციული ორგანოების ყურადღებას ცხოვრების მიერ წამოჭრილი აქტუალური ამოცანების გადასაწყვეტად. ამ ორგანოების მუშაკები ცუდად არიან ინფორმირებული საქმეთა მდგომარეობის, პირველი რიგის პრობლემების შესახებ. ამას წინათ პარტიის საქალაქო კომიტეტმა მკაცრად იმსჯელა ლენინის რაიონში შექმნილ მდგომარეობაზე. რა ხდება, რატომ ვერ მცირდება აქ დანაშაული? მიზეზი ერთია: არ არის ბრძოლის ნამდვილი კოორდინაცია, ძალები გაფანტულია, აქ სათანადოდ ვერ იყენებენ მეცნიერულ ანალიზს.

დამნაშავეობის წინააღმდეგ, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლაში საზოგადოებრიობამ, ხალხმა, პარტიამ წამყვანი როლი ადმინისტრაციულ ორგანოებს დააკისრეს. სწორედ ისინი უნდა დადგნენ საბჭოთა კანონიერების, საზოგადებრივი ინტერესების, საბჭოთა მოქალაქეების უფლებათა სადარაჯოზე. ამასთან მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა მუშაობის ამ მნიშვნელოვან უბანზე საქმეთა მდგომარეობისათვის. სიზუსტე, მაღალი ორგანიზებულობა და დისციპლინა განსაკუთრებით უნდა ახასიათებდეს ამ ორგანოებს, მის თითოეულ მუშაკს. პლენუმზე ხაზგასმით ითქვა, რომ სანიმუშო წესრიგი თვით სამართალდამცავი ორგანოების წესრიგითა და ზუსტი მუშაობით იწყება.

როგორც პარტიის თბილისის საქალაქო, ისე რაიონული პარტიული კომიტეტების ვალი, მათი ერთ-ერთი გადაუდებელი საქმეა აამაღლონ პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა, რომ ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები აღზარდონ კომუნისტური პარტიის საქმის უსაზღვრო ერთგულების, მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობის უნაკლოდ შესრულების, თავიანთი მუშაობის კრიტიკული შეფასების, კანონიერების უმკაცრესი დაცვის, მაღალი პოლიტიკური სიფხიზლის სულისკვეთებით.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ გაუმჯობესდა ადმინისტრაციული ორგანოების კადრების შერჩევა და აღზრდა, გაძლიერდა ამ საქმეში პარტიის რაიკომების, პირველადი პარტორგანიზაციების მონაწილეობა. შრომითი კოლექტივები შინაგან საქმეთა ორგანოებში გზავნიან თავიანთი საუკეთესო წარმომადგენლებს. მაგრამ, როგორც პლენუმზე სხვა კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების პარტიული კომიტეტის მდივანმა დ. სალარიძემ აღნიშნა, შრომითი კოლექტივების რეკომენდაციებით მილიციაში მისული ახალ შევსებასთან ზოგჯერ სათანადოდ არ მუშაობენ. ხოლო იმის კონკრეტული მაგალითი, თუ როგორ არ უნდა იჩენდეს ზერელობას და გულგრილობას სახალხო სასამართლოს ზოგიერთი მუშაკი, პლენუმზე მოიყვანა ი. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატმა გ. გაჩეჩილაძემ.

რა თქმა უნდა, აღრიცხვა, სტატისტიკა ყველგან საჭიროა, მით უფრო, როცა ნეგატიურ მოვლენებთან, დამნაშავეობასთან გვაქვს ხოლმე საქმე. შეიძლება ითქვას, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა ძირითადად მოაწესრიგეს ამ მხრივ სტატისტიკური ანგარიშგება. მაგრამ ზუსტი სტატისტიკა თვითმიზანი კი არ არის, არამედ გულმოდგინე, ღრმად გააზრებული, კვალიფიციური ანალიზის მასალა. იგი კონკრეტული ფაქტების გულდასმით შესწავლასთან ერთად გვაძლევს მართლწესრიგის დარღვევებთან ბრძოლის არჩევანს, გვკარნახობს მიზნის მიღწევის ეფექტიან საშუალებებს. მაგრამ, როგორც პლენუმის მონაწილეებმა თქვეს, ხშირად მასალებს, რომლებიც საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში გროვდება, ადმინისტრაციული ორგანოები სათანადოდ არ განაზოგადებენ. ამ მხრივ განსაკუთრებით აღინიშნა პროკურატურის ორგანოების როლი, მათი მაკოორდინებელი ფუნქცია.

პლენუმზე გამოითქვა მოსაზრება, რომ მიზანშეწონილია თბილისის პროკურატურასთან შეიქმნას სპეციალური ჯგუფი, რომელიც ქალაქის სამეცნიერო დაწესებულებებთან მჭიდრო კონტაქტით ღრმად გააანალიზებს დამნაშავეობის მდგომარეობას, შეიმუშავებს მისი პროფილაქტიკის რეკომენდაციებს. როგორც პარტიის კალინინის რაიკომის პირველმა მდივანმა ლ. მგალობლიშვილმა, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ თ. შავგულიძემ, კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ხუციშვილმა თქვეს, მთელ ამ მუშაობაში უკეთ უნდა გამოიყენონ რესპუბლიკის პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, უმაღლესი სასამართლოს და იუსტიციის სამინისტროს შესაძლებლობები, აგრეთვე უფრო სრულად ისარგებლონ სამართლისა და ეკონომიკის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის ინსტიტუტების, უნივერსიტეტის სათანადო კათედრებისა და ლაბორატორიების, სხვა დაწესებულებების ხელშეწყობით.

მთავარზე მთავარია გამფრთხილებელ-პროფილაქტიკური მუშაობა. პლენუმზე პირუთვნელად გაკრიტიკეს ადმინისტრაციული ორგანოების ყველა განყოფილება და ჯგუფი, მაგრამ განსაკუთრებული საყვედური გამოითქვა სოციალისტური საკუთრების დატაცებასთან მებრძოლი ორგანოების მისამართით, რომლებიც ზოგან ინერტულობას, სიზანტეს, არაოპერატიულობას იჩენენ. გამოვლენილ ბოროტმოქმედებათა ზრდის ციფრებმა, — თქვეს ქალაქის პროკურორმა ვ. რაზმაძემ და პარტიის ლენინის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ანჩაბაძემ, — როდი უნდა შეგვაქნაროს ილუზია, თითქოს ნამდვილად გაძლიერებულიყოს სოციალისტური საკუთრების დატაცებასთან ბრძოლა. ბევრი ფაქტი ამ ორგანოების მონაწილეობის მიუღებლად გამოვლინდა. რატომ დროზე არ აღიკვეთა ასეთი ბოროტმოქმედებანი? რატომ დროზე არ გადაიკეტა დანაშაულის კარი? — ამ კითხვაზეც საჭიროა პასუხის გაცემა.

კერძომესაკუთრული ფსიქოლოგია ის ფესვია, რომელზეც აღმოცენდება ხოლმე ბევრი დანაშაული და უმსგავსობა. და, როცა როგორც ამ, ისე სხვა ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის პროფილაქტიკაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ის, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები, ადმინისტრაციული ორგანოები სახალხო კონტროლის საქალაქო, რაიონული კომიტეტები და ჯგუფები არასოდეს არ უნდა შემოიფარგლონ მარტო მომხდარი ამბის აღრიცხვითა და თუნდაც მკაცრი ზომების მიღებით. უაღრესად საჭიროა, მთავარზე უმთავრესია, რომ გავარკვიოთ — რატომ მოხდა ასეთი ფაქტი, შემდეგ კი სათანადო ანალიზის მიხედვით გამოვიტანოთ დასკვნა და დავსახოთ ღონისძიება ამგვარი დანაშაულის აღსაკვეთად.

> სიცხელეაბრაზად, ბანიზულად და შეეფრიგებლად უნდა გაჯანიანიყოთ ბრძოლა პროგაბანდისა და ალარიდის მეთოდი საფუალებებით... რათა ალმოვფხვრათ ჩვენს ცხოვრებაში ჯერ კიდევ შემორჩენილი, სიზიანლრნიანადმი მტრული, მანიფეტი გაფლეთნაფეთები, ტერიოდ, მეოფხეტელობა და მეძრთვანეობა, მიწყრა ფ ფ ბ ა, რაც შეიძლება მეტი ფაბლიკი საზოგადოებას, სანაცვლოდ კი არაფერი მიეცეს, ფაბლიკაციისა და ბოლანგელობა, ლიტოფობა და ხულიგნობა, ბიუროკრატიზმი და ადგილობრივ ესლეგულეტ ადგილობრივ ფლეგმატიკოსთა, ფრიზიმი ფილანგელობა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევები. ამ მოვლენების ფინალაღმდეგ ბრძოლაში აუცილებლად უნდა გამოიცხადოთ შეუბრეველი და კანონის მკაცრი ქალაქ.

„ადეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან.

როგორც შრომითს კოლექტივებში პლენუმისწინა შეხვედრებზე, ისე პლენუმზეც გულისტკივილით ითქვა, რომ ჯერ კიდევ ფრიად არადამაკმაყოფილებელია ბრძოლა ნეგატიურ მოვლენებთან ეაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში. განსაკუთრებული ღონისძიებებია საჭირო, რომ წესრიგი დამყარდეს ზოგიერთ სამრეწველო საწარმოშიც. ეს უპირველესად ითქმის ხორცისა და რძის, კვების, მსუბუქი მრეწველობის ობიექტებზე. ბევრი დარღვევაა სამშენებლო ორგანიზაციებში, ტრანსპორტზე, საგზაო და კომუნალურ მეურნეობაში.

პლენუმის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა ის არის, რომ თითოეული შრომითი კოლექტივი, მისი ხელმძღვანელი პასუხს უნდა აგებდეს ამ კოლექტივის წევრთა მიერ სოციალისტური მორალის ნორმების, ჩვენი საერთო ცხოვრების წესების დაცვისათვის. პარტიის საქალაქო კომიტეტს განზრახული აქვს სწორედ ამ პოზიციებიდან, პერსონალური მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის პოზიციებიდან შეაფასოს ყოველი „საწარმოს, დაწესებულების, სასწავლებლის ხელმძღვანელთა, ადგილობრივი და რაიონული პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელთა საქმიანობა.

მაღალი პასუხისმგებლობის მქონე მუშათა კოლექტივების მაგალითებად პლენუმზე დასახელეს დინამო-როვის სახელობის საავიაციო, ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნები, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის ინიციატორები გახდნენ, ამასთან იკისრეს თავიანთი მიკრორაიონების შეფობა. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა უკეთესობისაკენ, როგორც ამ საწარმოში, აგრეთვე მათი დასახლების მთელ ტერიტორიაზე.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ო�ოლ ხან დამიტროვის სახელობის ქარხანაში დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლა შენელდა. სამაგალითოდ მოიმოტა გაცდენებმა და დაგვიანებებმა, გახშირდა კადრების დენადობა. ყოველივე ამის საწარმოს მთელმა კოლექტივმა, მისმა პარტიულმა ორგანიზაციამ დროზე უნდა მიხედონ და წესრიგი [illegible] ეკანონებულ კარგი სახელი არ დაკარგოს.

შრომის დისციპლინის დაბალი დონის გამო უფრო მწვავედ გააკრიტიკეს თეთრიულის ტრიკოტაჟის გაერთიანების, სამკერვალო ფაბრიკა „ამირანის“, საწარმოო გაერთიანება „ისნის“, მშენებლუსტრიის № 3 ტრესტის რკინა-ბეტონის ნაწარმის ქარხნის ხელმძღვანელები, პარტიული ორგანიზაციები.

წესრიგი არა მარტო ქუჩაში, არა მარტო საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, არამედ საწარმოშიც, დაწესებულებაშიც, სასწავლებელშიც — ასეთია პლენუმის მოთხოვნა!

კიდევ უფრო მეტად უნდა გაძლიერდეს ბრძოლა ლოთობისა და მუქთახორობის წინააღმდეგ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსმა ჯ. მიქელაძემ მოიყვანა იმის კონკრეტული ფაქტები, რომ სწორედ სიმთვრალის დროს მოხდა ქალაქში მართლწესრიგის დარღვევათა დიდი ნაწილი, რომ სწორედ მუქთახორები ჩადიან უფრო ხშირად დანაშაულს.

საწარმოთა და დაწესებულებათა ყურადღება მიექცა იმას, რომ არ შეიძლება გულგრილობა და უპასუხისმგებლობა ასეთი კატეგორიის პირებისათვის სამსახურებრივი დახასიათებების, სხვადასხვა ცნობების გაცემაში.

— საჭიროა, — თქვა პლენუმზე პარტიის ოქტომბრის რაიკომის მეორე მდივანმა ვ. იანკოვსკიამ, — ამაღლდეს საწარმოთა სხვადასხვა სამსახურის, მათ შორის იურიდიული სამსახურის, განსაკუთრებით კი კადრების განყოფილებათა პროფესიული მომზადების დონე. ამ განყოფილებათა მუშაკები იფარგლებიან მხოლოდ სხვადასხვა ცნობების წერით და განზე უდგანან ყოველგვარ აღმზრდელობითს მუშაობას.

ბევრ ხაინტერესო საკითხს შეეხო თავის გამოსვლაში საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ი. ნონეშვილი.

პლენუმზე განსაკუთრებით დიდი სჯა-ბაასი გაიმართა ახალგაზრდა თაობის აღზრდის პრობლემებზე, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებებზე, მცირეწლოვანთა დანაშაულის აღკვეთაზე.

განა შეშფოთების საფუძველს არ იძლევა ის ფაქტი, რომ არასაპატიო მიზეზით ძალიან ბევრი საათი გაცდენილი მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში? აღინიშნა, რომ სტუდენტებთან მუშაობისას განსაკუთრებით საჭიროა ინდივიდუალური მიდგომა, ამასთან უნდა ვიყოთ პრინციპულნი, შეუწყნარებელია ლმობიერების, ყოყლოჩინობიების, დანაშაულის პატიების განწყობილება. სტუდენტთა ზნეობრივი აღზრდის გაძლიერების აუცილებლობაზე ილაპარაკა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანმა რ. გორდეზიანმა.

მცირეწლოვანთა დანაშაულის აღკვეთისათვის მეტად დიდია ბავშვთა ოთახების, მილიციის საყრდენი პუნქტების, უბნის ინსპექტორების როლი. ქალაქში 60 საყრდენი პუნქტია, 98 პროფილაქტიკის საბჭო, 430 ამხანაგური სასამართლო, 766 ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეული, მაგრამ, როგორც პლენუმზე ითქვა, უკუგება საკმარისი არ არის.

ჩვენ შესანიშნავი ქალიშვილები და ჭაბუკები გვყავს, რომლებიც სახელოვან ფურცლებს წერენ საქართველოს, თბილისის კომკავშირის ისტორიაში. ისინი გულმხურვალედ გამოეხმაურნენ მოწოდებას: „გადავაქციოთ თბილისი ბაღნარად!“. სწორედ ახალგაზრდული ენთუზიაზმითა და მარჯვენით შენდება ბევრი ახალი სკვერი და პარკი, იქმნება მწვანე ზონები, უმჯობესდება დედაქალაქის ესთეტიკური იერსახე... ახალგაზრდობა მთავარი ძალაა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში. მოსაწონია ის თაოსნობა, რომ სტუდენტობამ თავის ხელში აიღო წესრიგის დაცვა სასწავლებლებშიც, საერთო საცხოვრებლებშიც, ქუჩაშიც...

მისასალმებელია, რომ ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი წამოიჭრა და ცხარე მსჯელობის საგნად იქცა ახლახან გამართულ კომკავშირულ კრებებზე, რომლებიც მიმდინარეობდა დევიზით: „თუ შენ თბილისელი ხარ!“.

დიახ, თუ შენ თბილისელი ხარ!.. რა სიამაყით ეღერს სიტყვა — თბილისი! თითოეული თბილისელი, თითოეული მოქალაქე კი, როგორც ეს საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე ხაზგასმით ითქვა, უნდა ჩაებას საზოგადებრივი წესრიგის დამყარებისათვის ბრძოლაში, თითოეული თვალსაჩინოვით უნდა უფროხილდებოდეს რესპუბლიკის დედაქალაქის სახელსა და ღირსებას.

პლენუმის მუშაობა, რომელსაც წითელ ზოლად გასდევდა ეს სიტყვები, დაემთხვა სწორედ იმ დღეებს, როცა ჩვენი ახალგაზრდობის საკმაოდ დიდი ნაწილი, უმაღლეს და სპეციალურ საშუალო სასწავლებლებში შესვლის გამო, თბილისის მოქალაქე ხდება. ზოგი კი მესამე შრომითი სემესტრიდან კვლავ საუკარელ ქალაქში დაბრუნდა. ბევრი რამ ახალი ხვდებათ ჩვენს ახალგაზრდობას აქ. ვინ მოთვლის, რამდენი რამ აშენდა და აიგო. ამასთან ერთად მათ. დახვდებათ ქალაქში მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ახალი საბრძოლო განწყობილება, პლენუმმა რომ შექმნა და გადმოგვცა! იმედია, პირველი სექტემბრიდან პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში აქტიურად ჩაებმება ახალი შესვლა — მშრომელი ახალგაზრდობა, სტუდენტთა და მოსწავლეთა ახალი რაზმეულები.

საზოგადებრივი წესრიგის დარღვევებთან ბრძოლის ერთთვიური, რომელიც თბილისში წარმატებით მიმდინარეობდა, პლენუმის მონაწილეთა შეფასებით, ძალთა თავისებური შემოწმება, მაღალი დისციპლინისა და წესრიგისათვის დიდი ლაშქრობის წინ გენერალური დათვალიერება იყო.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველნაირად უნდა წაახალისონ ის შესანიშნავი თაოსნობანი, რომლებიც უკანასკნელ ხანს დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში იშვა. მიზანი ნათელია — ადმინისტრაციული ორგანოებისა და მთელი საზოგადებრიობის მტკიცე კავშირი, ერთიანი ფრონტით, საერთო ძალ-ღონით ბრძოლა სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებისათვის!

პლენუმმა გამოთქვა რწმენა, რომ თბილისის მშრომელები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით კვლავაც შემოქმედებითად, ძალ-ღონისა და ენერგიის დაუშურებლად იბრძოლებენ, რათა ამრავლონ წარმატებანი სახალხო მეურნეობისა და კულტურულ მშენებლობაში, დაამყარონ სანიმუშო საზოგადებრივი წესრიგი.

კინოხელოვნების დღესასწაული

საზეიმო კრება მოსკოვში

საბჭოთა კინოს სამართლიანად უწოდებენ ოქტომბრით შობილ ხელოვნებას. პარტიასთან და ხალხთან ერთად გამოიარა მან სახელოვანი გზა და განადიდა საბჭოთა ადამიანების ისტორიული მიღწევები, დაამკვიდრა შემოქმედი, აღმშენებელი ადამიანის სულიერი სილამაზე.

საბჭოთა კინოს მე-60 წლისთავს მიეძღვნა საზეიმო კრება, რომელიც 27 აგვისტოს მოეწყო სსრ კავშირის დიდ თეატრში. მასში მონაწილეობდნენ დედაქალაქის მშრომელთა და საზოგადებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, კულტურის მოღვაწენი, საზღვარგარეთელი კინემატოგრაფისტები.

პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი პ. ნ. დემიჩევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ვ. ზიმიანინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტ. ი. კისელიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე ვ. მ. ტიაჟელნიკოვი და სხვები.

შეკრებილნი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებას საბჭოთა კინემატოგრაფისტებისადმი. მისალმება წაიკითხა სსრ კავშირის სახკინოს თავმჯდომარემ თ. ტ. ერმაშმა.

საბჭოთა კინემატოგრაფისტების სახელით თ. ტ. ერმაშმა, რომელიც შემდეგ მოხსენებით გამოვიდა, შეკრებილთ აღუთქვა, რომ კინოს მუშაკები კვლავაც მოახმარენ მთელ თავიანთ ნიჭსა და შთაგონებას პარტიის საქმეს, კომუნისტური მშენებლობის საქმეს.

(საკადესის კორ.).

აქტიური პოზიცია

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიული აქტივის კრება

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიული აქტივის კრებაზე გაიმართა საქმიანი, პრინციპული სჯა-ბაასი საზოგადებრივი წესრიგის დონის ამაღლებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ. კრებამ განიხილა შინაგან საქმეთა ორგანოების 1979 წლის შვიდი თვის მუშაობის შედეგები და მომავლის ამოცანები

ამერიკელ კომუნისტთა ყრილობაზე

ინდუსტრიულ დეტროიტში, რომელიც საქვეყნოდ არის ცნობილი თავისი საავტომობილო მრეწველობით, 26 აგვისტოს მუშაობა დაამთავრა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის XXII ეროვნულმა ყრილობამ, რომელიც სამართლიანად შევა ამერიკის მუშათა მოძრაობის ისტორიაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად. საგულისხმოა, რომ ამერიკელ კომუნისტთა ფორუმი დაემთხვა პარტიის შესანიშნავ იუბილეს, მისი დაარსების 60 წლისთავს. უკვე ექვსი ათწლეულია, დევნის მიუხედავად, პარტიის აკრძალვისა და იზოლაციაში მოქცევის ცდების მიუხედავად, ამერიკელი კომუნისტები თავდადებით ბრძოლიან რეაქციისა და რასიზმის ძალების წინააღმდეგ, მტკიცედ იცავენ მშრომელთა საარსებო ინტერესებს, მაღლა ატარებენ მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშას.

XXII ეროვნულ ყრილობაზე ამერიკელი კომუნისტები მოვიდნენ იმის შეგნებით, რომ პარტიამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, განმტკიცდა მისი ავტორიტეტი, გაიზარდა მისი რიგები, გაძლიერდა მასებთან კავშირი. და ამ მხრივ ერთობ სიმბოლურია, რომ დეტროიტში ქვეყნის სხვადასხვა შტატიდან ჩამოსულ ასობით დელეგატს შორის ესოდენ ბევრი იყო ახალგაზრდა კომუნისტი, რომლებიც პარტიის რიგებში უკანასკნელ ათწლეულში შევიდნენ. ესენი არიან თეთრკანიანები და ზანგები, ქალები და მამაკაცები, ფაბრიკა-ქარხნების მუშები, ფერმერები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. მაგრამ მათ ყველას აერთიანებს ნათელი იდეალებისათვის ბრძოლა, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლა.

ყრილობა შეიკრიბა ისეთ ვითარებაში, როცა ქვეყნის წინაშე დგას უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, როცა შეერთებულ შტატებს ახალი ეკონომიკური კრიზისისა და წარმოების დაქვეითების საფრთხე ემუქრება. მთავრობის ეკონომისტთა შეფასებითაც კი უმუშევართა არმია უახლოეს თვეებში 7,5-8 მილიონს მიაღწევს. ეკონომიკურ და სოციალურ სიძნელეებს ისიც აღრმავებს, რომ მშრომელებს მძიმე ტვირთად აწევს განუწყვეტელი ინფლაცია, უპირველესი საჭიროების საქონლის, სუფრასათის, ბინის, ელექტროენერგიის, სათბობისა და მომსახურების, სამედიცინო დახმარების ღირებულების დაუოკებელი ზრდა.

ეს მწვავე პრობლემები ყურადღების ცენტრში ჰქონდა კომუნისტთა ეროვნულ ფორუმს, რომელიც ოთხ დღეს მიმდინარეობდა „კობო ჰოლის“ მუნიციპალურ დარბაზში.

ყრილობის ერთ-ერთი ყველაზე ამაღელვებელი და დასახსომებელი მომენტი გახდა ინტერნაციონალური საღამო, რომლის მონაწილეთა წინაშე გამოვიდნენ მომძე პარტიების წარმომადგენლები, რომლებიც პირველად ესწრებოდნენ ამერიკელ კომუნისტთა ფორუმს. ენით აუწერელია აღტაცებისა და პატივისცემის ის გრძნობა, რომელიც დელეგატებმა გამოთქვეს დიდი ლენინის პარტიისადმი, როცა წაიკითხეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმება ამერიკის შეერთებული შტატების XXII ეროვნული ყრილობისადმი.

ᲛᲔᲜᲒᲘᲡᲢᲣ ᲰᲐᲘᲚᲘ ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ადის-აბება, 28 აგვისტო. ჩვენი დრო იმპერიალიზმის პოლიტიკის დამარცხებისა და სოციალიზმის იდეების გამარჯვების მოწმეა, განაცხადა აქ ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარემ მენგისტუ ჰაილე მარიამმა. მსოფლიოს ხალხები, რომლებიც ჯერ კიდევ რჩებიან იმპერიალისტური გავლენის სფეროში, თქვა მან, სულ უფრო მტკიცედ ირაზმებიან ნამდვილი ეროვნული განთავისუფლებისათვის სბრძოლველად. ზიმბაბვეს, ნამიბიისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პატრიოტთა ახალი წარმატებანი ამას დამაჯერებლად მოწმობს.

ეთიოპიის რევოლუციის გამარჯვება, რომელიც მსოფლიო რევოლუციური პროცესის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია, აღნიშნა დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარემ, სამართლიანად ითვლება მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალების საერთო გამარჯვებად.

მენგისტუ ჰაილე მარიამმა ხაზი გაუსვა იმ ინტერნაციონალისტური მხარდაჭერის დიდ მნიშვნელობას, რომელსაც ეთიოპიას უწევდნენ საბჭოთა კავშირი და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნები მთელი მისი რევოლუციური განვითარების მანძილზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მთავრობამ და ხალხმა, თქვა დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარემ, საქმით დაამტკიცეს, რომ ისინი ეთიოპიის ფართო მასების ნამდვილი მოკავშირენი არიან მათს ბრძოლაში ეროვნულ-დემოკრატიული რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად. თუმცა ჩვენს ქვეყნებს საერთო საზღვარი არა აქვთ, თქვა მენგისტუ ჰაილე მარიამმა, ჩვენ გვაერთიანებს უფრო წმინდა რამ — მარქსიზმ-ლენინიზმის იდეალებისადმი ერთგულება.

ᲒᲕᲘᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲣᲚᲘ ᲥᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ

მოკლედ

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ

28 აგვისტო

ვარშავა. გდანსკისა და გდინიას გემთმშენებლებმა და ნავსადგურის მუშაკებმა თავისებური იუბილე აღნიშნეს. გდანსკის ვ. ი. ლენინის სახელობის გემთსაშენში წყალში ჩაუშვეს მერვეასე გემი. ხუთი წლის იუბილე აღნიშნა გდანსკის სატვირთო ნავსადგურმა „ჩრდილოეთმა“ — განვლილი ხუთწლედის მანძილზე მან მიიღო 1700-ზე მეტი გემი.

● ●

ლონდონი. ლეიბორისტთა საკოორდინაციო კომიტეტმა ქვეყნის მთელ დემოკრატიულ ძალებს მოუწოდა გაშალონ საპროტესტო კამპანია იმის წინააღმდეგ, რომ მთავრობა ახორციელებს მშრომელთა საარსებო უფლებების შელახვის პოლიტიკას. აქ გავრცელებულ მიმართვაში ნათქვამია, რომ კონსერვატორთა მთავრობის კურსი მოახწევებს ინგლისელი ხალხის ცხოვრების დონის შემდგომ მნიშვნელოვან გაუარესებას, უმუშევრობის ზრდასა და ეკრძო მფლობელებისათვის ეკონომიკის ნაციონალიზებული სექტორის მიყიდვას.

● ●

ჯორჯტაუნი. მიუმხრობელი ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის დარგში ერთობლივი მოქმედების პროგრამის განმახორციელებელი ჯგუფის თათბირი გაიმართა გაიანის დედაქალაქში. თათბირზე შემუშავებული რეკომენდაციები ეხება ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლას, ნედლეულის სტაბილური ფასების უზრუნველყოფასა და ეკონომიკური განვითარების ერთობლივი პროექტების დაფინანსებას.

● ●

ლუანდა. სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის სახალხო ორგანიზაცია მონაწილეობას მიიღებს მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების შეკრებაში, ეს განაცხადა აქ გამართულ პრესკონფერენციაზე სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის სახალხო ორგანიზაციის პრეზიდენტმა ს. ნუიომამ.

● ●

ბანგკოკი. მუშაობა შეწყვიტა ბანგკოკის ნავსადგურის ხუთი ათასმა დოკერმა. ისინი მოითხოვენ ხელფასის მომატებასა და შრომის პირობების გაუმჯობესებას. მუშაობა ნავსადგურში შეჩერდა. ნავმისადგომებთან დაცლას ელის ოცდაათამდე გემი. ადმინისტრაციამ მოლაპარაკება დაიწყო გაფიცულებთან.

ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲘ

ᲯᲐᲛᲐᲗᲐ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ

ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲘ

ჯ. საგაძვილის დაბადების 90 წლისთავი



1915 წლის სუსხიანი ზამთარი იდგა. ირკუტსკის ქუჩებში ყინვისაგან გათოშილი მიაბიჯებდა შორეული გადასახლებიდან ახალგამოქცეული პარმენ ალექსის ძე საბაშვილი. იგი სრულიად ახალგაზრდა იყო. მაგრამ ვაჟაცკურად იტანდა ყოველ სიძნელეს, რაც თან სდევდა ხალხის თავისუფლებისათვის რევოლუციურ და არალეგალურ პარტიულ მუშაობას.

პ. საბაშვილმა ადრე განიცადა ცხოვრების სიდუხჭირე. 13 წლისამ უკვე შრომითი საქმიანობა დაიწყო, ჯერ ფოთში, შემდეგ კი ბესარაბეთში. აქტიურად მონაწილეობდა მუშათა გამოსვლებსა და გაფიცვებში.

1905 წელს იგი თბილისში გადმოდის და მუშაობას იწყებს ამერიკაკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოში. აქ იგი უკავშირდება მოწინავე მუშებს, შედის მუშათა არალეგალურ წრეში და აქტიურად მონაწილეობს თბილისის პროლეტარიატის გაფიცვებში, მაისობებში, დემონსტრაციებსა და მიტინგებში.

1907 წელს პ. საბაშვილი შედის პარტიის რიგებში და თვალსაჩინო როლს ასრულებს თბილისის ორგანიზაციის მუშაობაში. 1909 წელს მას ირჩევენ თბილისის ბოლშევიკური კომიტეტის წევრად და თავდადებით იბრძვის მენშევიკ-ლიკვიდატორთა წინააღმდეგ.

1909 წლის ოქტომბერში პ. საბაშვილმა გ. ნაფეტვარიძესთან ერთად თბილისში მოაწყო არალეგალური სტამბა, სადაც იბეჭდებოდა ბოლშევიკური გაზეთი „თბილისის პროლეტარი“, პროკლამაციები და ფურცლები. 1910 წლის ნ. ივლისს სტამბა აღმოაჩინეს და პ. საბაშვილი დაპატიმრეს. ჩხრეკის დროს ბინაზე მას პარტიული ორგანიზაციის დოკუმენტებიც უპოვეს. სასამართლომ პ. საბაშვილს ოთხი წლის კატორღა მიუსაჯა, და იგი ორიოლის საკატორღო ციხეში გადაიყვანეს, სადაც 1915 წლამდე დაჰყო, შემდეგ კი ირკუტსკის გუბერნიის სოფელ ბანდაიშში გადაასახლეს, საიდანაც მალე ქ. ირკუტსკში გაიქცა და იქ დაიწყო არალეგალური ცხოვრება...

1917 წლის მაისში პ. საბაშვილი თბილისში ბრუნდება და მთელი ენერგიით ებმება რევოლუციურ მოღვაწეობაში, მუშაობას იწყებს რკინიგზის მთავარ სახელოსნოში. 1918 წლიდან აქტიურად იბრძვის მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. იმავე წლის ივლისში იგი მენშევიკებმა დაიპატიმრეს და ვლადიკავკაზში გადაასახლეს. იქ მუშაობს რკპ(ბ) ვლადიკავკაზის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ. 1919 წლის თებერვალში პ. საბაშვილი თბილისში ბრუნდება და განაგრძობს არალეგალურ მუშაობას. 1920 წლის სექტემბერში ბაკოში აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობის დელეგატად გაგზავნეს. ყრილობიდან დაბრუნების შემდეგ მოსკოვს წავიდა და აღმოსავლეთის სახელობის უნივერსიტეტში სწავლობდა.

მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე პ. საბაშვილი შეუდრეკელი ნებისყოფით და უდიდესი ენერგიით იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების, მისი განმტკიცებისა და სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისათვის.

1921 წლიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, პ. საბაშვილს აბარა პასუხსაგები თანამდებობები. იყო საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს სსრ ეკონომიკური საბჭოს თავმჯდომარე, ამიერკავკასიის რკინიგზის პროფკავშირების თავმჯდომარე. იგი არაერთხელ იყო არჩეული კპ (ბ) ამიერკავკასიის საბჭოარეო კომიტეტის, საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის წევრად.

1932 წელს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-15 წლისთავთან დაკავშირებით პ. საბაშვილი დაჯილდოვეს ბრძოლის წითელი დროშის ორდენით. თავდადებული რევოლუციონერის, უდრეკი ბოლშევიკის პ. საბაშვილის ცხოვრების ნათელ ფურცელს არასოდეს დაივიწყებს კომუნიზმის მშენებელი ჩვენი ხალხი.

ე. ᲥᲣᲠᲪᲘᲙᲘᲫᲔ,
პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲐᲠᲩᲘᲡᲔᲚᲗᲐ ᲠᲘᲒᲔᲑᲘᲗ

ალჟირი, 28 აგვისტო. პოლისარიოს ფრონტის ქვეგანაყოფებმა 24 აგვისტოს ხელში ჩაიგდეს მაროკოს ლებუირათის სამხედრო გარნიზონი, ნათქვამია ფრონტის ალჟირის წარმომადგენლობის კომუნიკეში, რომელიც ალჟირის დეპეშათა სააგენტომ გადმოსცა. ბრძოლის დროს, რომელსაც რამდენიმე საათს გასტანა, ნათქვამია კომუნიკეში, მაროკოს არმიამ დიდი დანაკლისი განიცადა. კერძოდ, დაიხოცა და დაიჭრა რამდენიმე ასეული კაცი. მოწინააღმდეგებმა ხელთ იგდეს 45 ჯავშნოსანი მანქანა, სამხედრო მანქანები, საარტილერიო ქვემეხები, ტყვია-წამალი. მაშველ ძალებს, რომლებიც მაროკოს არმიის სარდლობამ გაგზავნა, ასევე მძიმე ზარალი მიადგა.

რაბათი, 28 აგვისტო. მაროკოს ჯარებმა კვლავ დაიბრუნეს ლებუირათის გარნიზონი, რომელიც ერთი დღე-ღამის განმავლობაში პოლისარიოს ფრონტს ჰქონდა ჩაგდებული ხელში, ნათქვამია აქ გავრცელებულ მთავრობის ცნობაში. მასში აღნიშნულია, რომ ხელისუფალნი მოაწყობენ დეტალურ გამოკვლევას და ის პირნი, ვისაც ბრალი მიუძღვის გარნიზონის უბრძოლველად ჩაბარებაში, „მკაცრად დაისჯებიან“.

ᲛᲔᲜᲒᲘᲡᲢᲣ ᲰᲐᲘᲚᲔ ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲫᲔᲒᲚᲘ ᲡᲕᲘᲓᲜᲘᲙᲨᲘ



29 აგვისტოს სრულდება სლოვაკიის ეროვნული აჯანყების — მეორე მსოფლიო ომის წლებში ფაშიზმის წინააღმდეგ სლოვაკი და ჩეხი ხალხების ბრძოლის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენის — 35-ე წლისთავი. აჯანყებულების მხარდამხარ მტერს ვაჟკაცურად ებრძოდნენ საბჭოთა მეომრები. ერთობლივ ბრძოლებში იწრთობოდა საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხთა ურღვევი საბრძოლო თანამეგობრობა.

სურათზე: მემორიალური ძეგლი სვიდნიკში სლოვაკიის ეროვნული აჯანყების აღსანიშნავად.

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲓᲔᲞᲔᲨᲗᲐ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ-ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 28 აგვისტო. დღეს საბჭოთა ოფიციალური წარმომადგენლებისა და ამერიკის ოფიციალურ ხელისუფალთა წარმომადგენლების ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ „აეროფლოტის“ თვითმფრინავი მოსკოვში გაფრინდა ყველა საბჭოთა მოქალაქესთან ერთად, მათ შორის იყო სსრ კავშირის დიდი თეატრის ბალეტის მსახიობი ლ. ი. ვლასოვა.

ამერიკის სპეციალურმა სამსახურებმა არაფერი არ ითაკილეს იმისათვის, რომ ლ. ი. ვლასოვა სამშობლოში აღ დაბრუნებულიყო. მაგრამ მან ამ რთულ პირობებში გამოიჩინა მაღალი მოქალაქეობრიობის გრძნობა და მაცობა პოლიციელთა მუქარისა და შანტაჟის წინაშე. ლ. ი. ვლასოვამ გადაჭრით განაცხადა, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი სამშობლოში დაბრუნება, როგორც ეს არაერთხელ უთქვამს მანამდე და კვლავ დაამტკიცა 27 აგვისტოს ამერიკის ხელისუფალთა წარმომადგენლებთან შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდნენ საბჭოთა ოფიციალური პირნი. საბჭოთა მოქალაქის ლ. ი. ვლასოვას დასაცავად დადგნენ საბჭოთა კანონი და საბჭოთა სახელმწიფო ორგანოების ქმედითი ღონისძიებანი, რომლებიც იცავენ სსრ კავშირის მოქალაქეთა უფლებებს.

„აეროფლოტის“ თვითმფრინავის დაკავება, რომელშიც საბჭოთა მოქალაქეები იყვნენ, უხეშად ირღვევა ფრენის [illegible] [illegible] [illegible]



დილა შაორის ტბაზე

შაორის ტბა რაჭის ერთ-ერთი თვალწარმტაცი ადგილია. ერთ მხარეს ლამაზი ტყიანი ნაპირებია, მეორე მხარეს მწვანედ მობიბინე ველები გადაშლილა. წმინდა მთის ჰაერი, ზღვის გრილი ნიავი თუ შესანიშნავი ქვიშიანი პლაჟები ადამიანის თვალს და გულს იზიდავს. შაორის მიდამოები შესანიშნავი ადგილებია მომავალი კურორტების, პიონერთა ბანაკების და დასვენების ზონისათვის.

რამდენიმე წლის წინათ შაორის ტბაში გააშენეს სხვადასხვა ჯიშის თევზი — ოქროსფერი კობრი, ბრამფული, შავწუალას და სეკანის კალმახი, რებეცი, — გვიამბობს საქთევზმეურნეობის შაორის თევზის მეურნეობის დირექტორი რ. ბაქრაძე. — მეურნეობამ წელს სახელმწიფოს უნდა ჩააბაროს 25 ტონა ცოცხალი თევზი. მაგრამ საწყენი ის არის, რომ შაორის წყლის აკვატორია თანდათან კლებულობს და ნაგვიანდება, რაც საგრძნობლად უშლის ხელს თევზჭერის საქმეს.

საჭიროა, ტბას დროზე მივხედოთ.

ს. კილაძე.

●●

სურათებზე: შაორის ტბაზე (მარჯვნივ მეთევზეთა ბრიგადირი დ. ლილუაშვილი).

ავტორის ფოტო.

ტურის ბოლო მატჩები

ბუენოს აირესში ჩემპიონატის ოცდამეორე ტურის ბოლო ორი მატჩი. გთავაზობთ შედეგებს:

„დინამო“ (კ)-„დინამო“ (მნ)—1:0.

„სპარტაკი“-„ზარია“ — 3:1.

ოცდამეორე ტურის შემდეგ გთანამშრომლის ცხრილში გუნდების მდგომარეობა ასეთია:

	მ	ფ	წ	ბ	ქ
„დინამო“ (კ)	15	4	3	30-11	34
„შახტიორი“	13	7	2	35-14	33
„სპარტაკი“	13	6	3	39-17	32
„დინამო“ (თ)	12	8	2	33-14	32
„დინამო“ (მ)	10	5	7	21-15	25
„ზენიტი“	10	4	8	30-28	24
„დინამო“ (მნ)	9	4	8	25-21	22
„არარატი“	7	10	5	27-22	22
ცსკა	8	5	9	28-25	21
„ფახთაკორი“	8	4	8	26-30	20
„ტორპედო“	6	6	10	20-26	18
„ჩერნომორეცი“	5	9	8	19-22	18
„ლოკომოტივი“	4	8	10	26-37	16
„ყაზახეთი“	5	4	12	19-31	14
„ზარია“	4	6	12	24-38	14
„ნეფტჩი“	4	6	12	15-30	14
ასკ	3	12	7	22-35	14
„კრ. ხოვეტოვი“	5	2	15	13-36	12

მეორე ლიგაში

გაიმართა მეორე ლიგის მეოთხე ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ასპარეზობის ოცდამეცამეტე ტურის მატჩები. ამ ტურნირის მონაწილე საქართველოს გუნდების შედეგები ასეთია: „დინამო“ (ზუგდიდი)-„გურია“ (ლანჩხუთი) — 2:0, „დინამო“ (სოხუმი)-„ლოკომოტივი“ (სამტრედია) — 0:0, „დინამო“ (ბათუმი)-„კოლხეთი“ (ფოთი) — 2:1, „დილა“ (გორი)-„დინამო“ (ქიროვი) — 1:0.

გათამაშებას 44 ქულით ლიდერობს სტეფანაკერტის „ყარაბახი“. საქართველოს გუნდებიდან ყველაზე მეტი ქულა აქვთ ბათუმის, ფოთის, ზუგდიდის, ლანჩხუთის „გურიის“ და სამტრედიის „ლოკომოტივს“ — 38-38. „გურია“ და „ლოკომოტივი“ ჯერჯერობით მეოთხე-მეხუთე ადგილებს ინაწილებენ.

თამაშობს „ლივერპული“

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა მეტოქემ „ლივერპულმა“ ინგლისის ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩი მოუგო „ვესტ ბრომვიჩ ალბიონს“ ანგარიშით 3:1. შარშანდელ ჩემპიონატში „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ მესამე ადგილზე გავიდა. ბურთები გაიტანეს ტედ ჯონსონმა (2 გოლი) და ტერი მაკდერმოტმა. პეტერ ბირნსმა ერთი გოლი გაქვითა.

ნაკრებში გაიწვიეს

უაზანში 8-17 სექტემბერს გაიმართება რეგბისტთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი გზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიას“ პრიზზე. საბჭოთა კავშირის ნაკრებში სხვებთან ერთად ითამაშებენ თბილისის „ლოკომოტივის“ რეგბისტები დავით კილასონია, მიხეილ ხარშილაძე, ვლადიმერ პეტუხოვი, ოლეგ ლიპარტელიანი და ვარლამ წერეთელი.

მედლებით ბრუნდებიან

სან-დიეგოში (აშშ) გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. ფსარეზობის დამთავრებამდე ერთი დღით ადრე ხუთ წონითს კატეგორიაში გამოვლინდნენ პრიზიორები. საბჭოთა ათლეტთაგან სამმა ოქროს მედალი მოიპოვა. მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ მოსკოველი ს. კორნილაევი (48 კგ), გომელელი მ. ხარაჩოვი (68 კგ) და დონეცკელი ი. მატე (100 კგ.). კიეველმა ს. ბელოგლაზოვმა (57 კგ) ვერცხლის მედალი მიიღო, ხოლო მახაჩკალელმა მ. არაცილოვმა — ბრინჯაოსი.

სად, რა, როდის...

გუშინ, გუშინწინ

ჩოგბურთი. პოლონეთის ღია ჩემპიონატში თავი ისახელეს მოსკოველებმა ვადიმ ბორისოვმა და ელენე გრანატუროვამ. კატოვიცეში დამთავრებულ ერთეულთა ასპარეზობაში მათ მთავარი პრიზები მიიღეს. ბორისოვმა გადამწყვეტი მატჩი მოუგო პოლონელ ტადეუშ ნოვიცკის (6:4, 1:6, 6:1), გრანატუროვამ კი დონეცკელ მარინა კროშინას (6:1, 2:6, 6:3).

კალათბურთი. სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებმა სან-ხუანში გამართა საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეხვედრა. მისი მეტოქე იყო პუერტო-რიკოს ნაკრები. გიამბარჯვეს საბჭოთა კალათბურთელებმა ანგარიშით 99:88 (61:44). სსრ კავშირის ნაკრები საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშებაში მონაწილეობაგან ერთადერთია, რომელიც დაუმარცხებლად იბრძვის.

ფარიკაობა. მელბურნში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა კავშირის მოხმალავეთა ნაკრების გამარჯვების შემდეგ იგივე გაიმეორეს რაინერისტმა ქალებმა. მათ გადამწყვეტი მატჩი უნგრეთის ნაკრებს მოუგეს (9:4) და მსოფლიო ჩემპიონთა ტიტულები მოიპოვეს. მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო აკორდი იყო დაწნით მოფარიკავეთა გუნდური ასპარეზობა. ამ სახეობაშიც საბჭოთა სპორტსმენებმა იზეიმეს გამარჯვება. ფინალში მათ დაამარცხეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოფარიკავეები ანგარიშით — 8:5. საერთო-გუნდურ ჩათვლაში სსრ კავშირის ნაკრებმა 103 ქულა დაგროვა და ყველას დამაჯერებლად გაუსწრო. მეორე ადგილზე გავიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდი — 40 ქულა, მესამეზე — იტალიისა — 31.

ქ. ა. ციწიკაძე

გარდაიცვალა 1917 წლიდან სკკპ წევრი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ივან ალექსანდრეს ასული **ციწიკაძე.**

ქ. ა. ციწიკაძე დაიბადა 1893 წელს, სოფელ დიდვანში (ჩოხატაურის რაიონი) ღარბი გლეხის ოჯახში. უსახსრობის გამო მას სწავლა-განათლება არ მიუღია და წერა-კითხვა შინ ისწავლა. უკიდურესმა სიღარიბემ და ბედუკულმართობამ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ალინთო რეგოლუციური სულისკვეთებით, ამიტომ იგი ყოველმხრივ ეხმარებოდა ბოლშევიკ-ლენინელებს არსებული წესწყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში. ენერგიული და უშიშარი ქალი 1917 წელს უყოყმანოდ მიიღეს ბოლშევიკური პარტიის რიგებში.

საქართველოში მენშევიკთა დიქტატურის დროს ქ. ციწიკაძე აქტიურად რაზმავდა სოფლის მშრომელებს მენშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად. 1919 წლის ოქტომბერში მომხდარი აჯანყების დროს ქ. ციწიკაძე ასრულებდა პარტიული უჯრედის ყველა დავალებას. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო მენშევიკების ავანტიურის განადგურებაში 1924 წელს. ქ. ციწიკაძემ გარკვეული როლი შეასრულა სოფლად საკოლმეურნეო ცხოვრების დამკვიდრებაში. იგი პირველი შევიდა კოლმეურნეობაში და სხვებს თავდადებული შრომის თვალსაჩინო მაგალითს უჩვენებდა.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ქ. ციწიკაძე პენსიაზე იმყოფებოდა.

უდრეკი ბოლშევიკი ქ. ციწიკაძის ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში

ამხანაგების ჯგუფი.

ტურისტულ ბაზებზე: რეჟიმი გვმსახურებენ?

ქობულეთის ზღვისპირეთიდან გოდერძის უღელტეხილამდე ტურისტული გზებით არის გადასერილი თითქმის მთელი აჭარა. მცენარეთა უმდიდრესი კოლექციებით სახელგანთქმული ბათუმის ბოტანიკური ბაღი და ულამაზესი ზღვისპირა პარკი, თამარისა და გონიოს ციხეები, ჩაქვის ჩაის პლანტაციები და ბობოყვათის სუბტროპიკული ბაღები, დელფინარიუმი და პიონერთა პარკი, მაჭახელისა და ჩირუხის ხეობები მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

სწორედ ამიტომ არის, რომ აჭარას ყოველთვის ბევრი სტუმარი ჰყავს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან. ისინი მოდიან საჰაერო, საზღვაო, სარკინიგზო, საავტომობილო გზებით. მოდის ათიათასობით ტურისტი და დამსვენებელი, შინაური თუ უცხო, და ყველას, ჩვენი ტრადიციისამებრ, ისე უნდა ვუმასპინძლოთ, რომ აქ გატარებული დღეები მარად მოსაგონრად დარჩეთ.

როგორ ვიხდით მასპინძლის მოვალეობას? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ყველაზე უკეთ სტუმრებს შეუძლიათ, მაგრამ სანამ მათ მივცემდეთ სიტყვას, ჩვენს შესაძლებლობებს გადავხედოთ.

ამჟამად აჭარაში თხუთმეტი სტაციონარული და დაჭირავებული ტურისტული ბაზაა, სადაც ყოველწლიურად ათასობით ორგანიზებული ტურისტი ჩამოდის. აქედან მუშაობის კარგი შესაძლებლობა აქვთ ბათუმის, მწვანე კონცხის, ჩაქვის, ციხისძირისა და ზოგიერთ სხვა ტურბაზას.

ახლა მოვუსმინოთ ზოგიერთ ტურისტს:

„ხარკოვ-8“ ტურისტული ჯგუფის წევრები დიდად ვემადლიერებით განთიადის ტურისტულ ბაზას, მთელ მომსახურე პერსონალს. არ გვაკლდა ყურადღება და მზრუნველობა. ეწყობოდა საინტერესო ექსკურსიები“.

„გადავწყვიტეთ შეებულება ჩაქვის ტურბაზაში გაგვეტარებინა. გულთბადი მიღება, მეგობრული ყურადღება, ლაკვარდოვანი ზღვა და სამხრეთული სითბო — ყველაფერი ეს სამუდამოდ დაგვახსოვდა. ამას ემატება ისიც, რომ ბევრი რამ გავიგეთ საბჭოთა საქართველოზე, გავეცანით ეროვნულ ტრადიციებს“, — გვითხრეს ტურისტებმა

ნუ ვათქმევინებთ ძვირს

ქობულეთის ზღვისპირეთიდან გოდერძის უღელტეხილამდე ტურისტული გზებით არის გადასერილი თითქმის მთელი აჭარა. მცენარეთა უმდიდრესი კოლექციებით სახელგანთქმული ბათუმის ბოტანიკური ბაღი და ულამაზესი ზღვისპირა პარკი, თამარისა და გონიოს ციხეები, ჩაქვის ჩაის პლანტაციები და ბობოყვათის სუბტროპიკული ბაღები, დელფინარიუმი და პიონერთა პარკი, მაჭახელისა და ჩირუხის ხეობები მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

სწორედ ამიტომ არის, რომ აჭარას ყოველთვის ბევრი სტუმარი ჰყავს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან. ისინი მოდიან საჰაერო, საზღვაო, სარკინიგზო, საავტომობილო გზებით. მოდის ათიათასობით ტურისტი და დამსვენებელი, შინაური თუ უცხო, და ყველას, ჩვენი ტრადიციისამებრ, ისე უნდა ვუმასპინძლოთ, რომ აქ გატარებული დღეები მარად მოსაგონრად დარჩეთ.

როგორ ვიხდით მასპინძლის მოვალეობას? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ყველაზე უკეთ სტუმრებს შეუძლიათ, მაგრამ სანამ მათ მივცემდეთ სიტყვას, ჩვენს შესაძლებლობებს გადავხედოთ.

ამჟამად აჭარაში თხუთმეტი სტაციონარული და დაჭირავებული ტურისტული ბაზაა, სადაც ყოველწლიურად ათასობით ორგანიზებული ტურისტი ჩამოდის. აქედან მუშაობის კარგი შესაძლებლობა აქვთ ბათუმის, მწვანე კონცხის, ჩაქვის, ციხისძირისა და ზოგიერთ სხვა ტურბაზას.

ახლა მოვუსმინოთ ზოგიერთ ტურისტს:

„ხარკოვ-8“ ტურისტული ჯგუფის წევრები დიდად ვემადლიერებით განთიადის ტურისტულ ბაზას, მთელ მომსახურე პერსონალს. არ გვაკლდა ყურადღება და მზრუნველობა. ეწყობოდა საინტერესო ექსკურსიები“.

„გადავწყვიტეთ შეებულება ჩაქვის ტურბაზაში გაგვეტარებინა. გულთბადი მიღება, მეგობრული ყურადღება, ლაკვარდოვანი ზღვა და სამხრეთული სითბო — ყველაფერი ეს სამუდამოდ დაგვახსოვდა. ამას ემატება ისიც, რომ ბევრი რამ გავიგეთ საბჭოთა საქართველოზე, გავეცანით ეროვნულ ტრადიციებს“, — გვითხრეს ტურისტებმა

ტურისტულ ბაზებზე ბევრ ადგილას ჩვენ ზღვაზე სამოგზაურო ბილეთებს, საზღვაო ტურისტული რეისები რესპუბლიკის ფარგლებშიც არ ეწყობა. მოთხოვნილება კი ძალიან დიდია. სისტემაში განსაკუთრებით იგრძნობა კადრების სიმცირე. ეს ეხება კვების ბლოკსა და მომსახურე პერსონალს. ქობულეთის დაქირავებულ ტურბაზაში (დირექტორი ა. კაკალაძე). დამსვენებლებმა უკმაყოფილება გამოთქვეს ცუდი მომსახურების გამო. ქობულეთის ტურბაზა გამონაკლისი როდია. ზოგიერთ ობიექტში მომსახურების დაბალი კულტურა იმითაც არის გამოწვეული, რომ ნაკლებია მომთხოვნელობა და კონტროლი. ერთ-ორ უპასუხისმგებლო მუშაკის უტაქტო მოქმედებამ შეიძლება მთელ ნაკადს გაუფუჭოს შთაბეჭდილება.

აჭარის ტურისტულმა საბჭომ შესაბამისმა სამმხრივ ორგანიზაციებმა, ვაჭრობის სამინისტრომ სერიოზული ღონისძიებები უნდა განახორციელონ ტურისტთა უკეთ მიღებისა და მაღალ დონეზე მომსახურებისათვის.

მ. გოგბილაძე
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ტურიზმი: რეჟიმი გვმსახურებენ?

რედაქტორის მოადგილე
ბ. გოგიაშვილი.

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი

ქ. თბილისის № 54 საშუალო-სამშენებლო მექანიზაციის პროფტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1979-80 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. ერთკოშკიანი ექსკავატორის მემანქანე; 2. ბულდოზერის, სკრეიპერის მემანქანე; 3. კოშკურა ამწის მემანქანე, 4. შემლესავ-მომპირკეთებელი მეფილე; 5. ავტოკომპრესორის მემანქანე; 6. ავტოამწის მემანქანე.

აღნიშნულ სპეციალობებზე მიიღებიან საშუალო სკოლების 8 კლასის განათლების მქონე მოსწავლეები.

სწავლის ვადა სამი წელია; სწავლების პერიოდი ითვლება უწყვეტ სამუშაო სტაჟად. მოსწავლეები იმყოფებიან სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე და დადგენილი წესით მეცევმათ ფულადი ანაზღაურება საწარმოო პრაქტიკის დროს გამომუშავებული თანხის 50 პროცენტის ოდენობით. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მათ მეიცემათ საშუალო განათლებისა და სპეციალური განათლების დიპლომი.

საშუალო განათლების მქონე გოგონები და ჭაბუკები მიიღებიან შემდეგ სპეციალობებზე:

1. ერთკოშკიანი ექსკავატორის მემანქანე; 2. ბულდოზერის, სკრეიპერის მემანქანე; 3. კოშკურა ამწის მემანქანე; 4. შემლესავ-მომპირკეთებელი მეფილე; 5. თვითმცლელი ავტომანქანის მძღოლი.

სასწავლებელს აქვს როგორც ქართული, ასევე რუსული სექტორი. სწავლის ვადა ერთი წელია. მოსწავლეებს მიეცემათ სტიპენდია 30 მანეთის ოდენობით, ხოლო წარჩინებულთ — 25 პროცენტით მეტი. მათ ასევე მეიცემათ საწარმოო პრაქტიკის პერიოდში გამომუშავებული თანხის 50 პროცენტი და სპეციალობის დიპლომი.

მოსწავლეები, რომლებიც სასწავლებლის სრულ კურსს წარჩინებით დაამთავრებენ, უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის დროს სარგებლობენ საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის ოქროს მედალისნისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლის წარჩინებით კურსდამთავრებულთათვის დადგენილი უპირატესობით.

სწავლის მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ დირექტორის სახელზე და დაურთონ შემდეგი საბუთები:

1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. დაბადების მოწმობა (დედანი), 3. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286), 4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 5. დახასიათება სკოლიდან, 6. ავტობიოგრაფია, 7. ექვსი ფოტოსურათი (ზომა 3X4).

სწავლა იწყება 1 სექტემბერს.

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი — 68, ჭიჭინაძის ქ. № 1. **ტელეფონები: 71-37-47, 71-9[illegible], 71-83-40, 71-69-93.**



თბილისის № 74 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მიღებას 1979-80 სასწავლო წლისათვის შემდეგ პროფესიებზე:

1. საყოფაცხოვრებო დანიშნულების ელექტროხელსაწყოების შემკეთებელი ზეინკალ-ელექტრიკოსები (სწავლების ვადა 1 წელი).
2. მამაკაცის და ბავშვის ზედა ტანსაცმლის მკერავ-გამომჭრელი (ქართული სექტორი, სწავლების ვადა 2 წელი და 6 თვე).
3. ქალისა და ბავშვის ზედა ტანსაცმლის მკერავ-გამომჭრელი (ქართული სექტორი. სწავლების ვადა 2 წელი და 6 თვე).
4. მამაკაცისა და ბავშვის ზედა ტანსაცმლის ინდივიდუალური მკერავი (რუსულ-ქართული სექტორი. სწავლების ვადა 2 წელი).
5. ქალისა და ბავშვის ზედა ტანსაცმლის ინდივიდუალური მკერავი (ქართულ-რუსული სექტორი. სწავლების ვადა 2 წელი).
6. ქალისა და ბავშვის მსუბუქი კაბების მკერავი (სწავლების ვადა 1 წელი, რუსულ-ქართული სექტორი).
7. ქიმწმენდის მეაპარატე და ლაქების ამომყვანი (ქართული სექტორი, სწავლების ვადა 2 წელი). ამ პროფესიაზე მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას თვეში 70 მანეთის ოდენობით.

სასწავლებელში ჩარიცხულებს მეიცემათ სტიპენდია დადგენილი წესით და საწარმოო პრაქტიკაზე გამომუშავებული თანხის 50 პროცენტი. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ უზრუნველყოფილი იქნებიან სამუშაო ადგილებით. რაიონიდან ჩამოსულ გოგონებს საჭიროების შემთხვევაში მეიცემათ საერთო საცხოვრებელი. მოსწავლე ვაჟებს სწავლის პერიოდში ეძლევათ გადავადება სამხედრო სამსახურში გაწვევაზე.

სასწავლებლის წარჩინებით კურსდამთავრებულთა 10 პროცენტს პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით უფლება ეძლევა სწავლა განაგრძოს უმაღლესი სასწავლებლების დღის, ხოლო დანარჩენებს საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებებზე.

განცხადებები მიიღება 30 აგვისტომდე. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

სასწავლებლის მისამართია: თბილისი 68, საჭარხნო რაიონი, ჭიჭინაძის ქუჩა № 10. მეტრო სამგორიდან ავტობუსი № 10, № 51; მეტრო 26 კომისრიდან — № 16; კრწანისურნეობის მოედნიდან — სამგორური ტაქსი № 5. ტელეფონები: 71-82-35, 71-21-20, 71-15-66.

ჟურნალი „ტექნიკა“

29 აგვისტო

პირველი პროგრამა: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 17.00 — ბულგარული ფილმი, 17.15 — „ბავშვის საერთაშორისო წელი. საგელევიზიო მხატვრული ფილმი „ეს სიმპათიური მგელები“, 18.25 — იცოდე, საბრძოლოდ!, 18.50 — დოკუმენტური ფილმი, 19.00 — პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით. სტუდიაში — სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ა. ბულგაკოვი (მ.), 19.35 — კინონარკვევი, 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები (ფ.), 20.50 — საგელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „თუში მეცხვარე“ მეორე სერია პრემიერა (მ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 23.35— სპორტული მიმოხილვა (ფ.).

მეორე პროგრამა: 18.05 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სახელენგების ციხე-სიმაგრე“ (ფ.), 18.35 — საგელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „მისი აღმატებულების ადიუტანტი“ (მესამე სერია).

ბაკურიანული ბენეფეული

მთის კურორტი ბაკურიანი ჩვენს ქვეყანაში მარტო განუმეორებელი სილამაზის „მზიური ველით“, სპორტული ბაზებითა და ნაგებობებით როდია ცნობილი. აქ განლაგებულია საქართველოს ფარგლებს გარეთ ფართოდ ცნობილი მენადირეობის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც ჯილდო მელიების მოშენებას მისდევს.

წელს ბაკურიანელებმა ოთხი ათას ცალზე მეტი მადალხარისხოვანი ტყავი გაუგზავნეს მომხმარებლებს. მეურნეობის მშრომელებს თავიანთი წარმატებული მუშაობის საწინდრად მიაჩნიათ გულმოდგინედ მოუარონ მელიებს, რომლებიც ახლა ფერმებში შვიდი ათასამდე ჰყავთ, და რაციონალურად მოაწყონ მუშაობა შრომა.

როცა მწყობრში ჩადგება ახალი ფერმები, რომელთა მშენებლობა უახლოესი ხნისათვის არის გათვალისწინებული, ბაკურიანის მენადირეობის საბჭოთა მეურნეობა 14 ათასამდე მელიის ლეკვს გამოზრდის.

სურათებზე: მეურნეობის ერთ-ერთი საუკეთესო მუშა მანანა გუდაევა მომხმარებლისათვის გაგზავნის წინ ამოწმებს ტყავს; ბაკურიანის მენადირეობის საბჭოთა მეურნეობის ფერმის საერთო ხედი.

ბ. ნასუცერიშვილის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

დანაშაულის კვალდაკვალ

მასპინძელიც ამას ჰქვია!

ეს მოხდა ლენტეხში. შუაღამისას ავტოსატრანსპორტო საწარმოს გარაჟის შესასვლელთან მკვეთრად დაამუხრუჭეს და გაჩერეს სატვირთო ავტომანქანა. კაბინიდან სამი ახალგაზრდა გადმოვიდა და ჭაღარა ლამის უარიელს გრიგოლ მუსელიანს თავხედურად, ბატონკაცურად მიმართა:

— ძიაკაცო, ბენზინი შემოგვაკლდა და ახლავე უნდა მოგვცე!

გუშაგმა განუმარტა, უბენზინობის გამო საწარმოს ავტომანქანებიც დგანანო და თქვენს თხოვნას ვერ დავაკმაყოფილებო.

— ცრუობ, მაშ სტუმრებს უარით გვისტუმრებ, არა?... ერთბაშად იფეთქა სამივემ, მერე გუშაგს ხელი სტაცეს და ცემა დაუწყეს.

უმეწო ადამიანის ცემით გული რომ იჯერეს, ავტომანქანაში ჩასხდომა და წასვლა დააპირეს, მაგრამ ამ დროს ერთ-ერთმა ხულიგანმა თვალი მოჰკრა, რომ ნაცემი გუშაგი მილიციის განყოფილებისაკენ მიდიოდა.

ჩვენ შენ გიჩვენებთ სეირს, როგორ უნდა ჩავიღიოთ, და უკან დაედევნენ, ხელში მოიგდეს და ავტომანქანაში შეთრევა სცადეს, მაგრამ მიზანს რომ ვერ მიაღწიეს, ხიდიდან ქვინარე ხელიდუარაში გადაადგეს.

იმავე ღამეს მთელი დაბა ფეხზე დადგა. მილიციის ოპერატიული ჯგუფის წევრებმა ბოროტმოქმედებს მალე მიაკვლიეს.

ისინი აღმოჩნდნენ ცაგერის რაიონის მკვიდრნი: რომან ცვარიანი, თეიმურაზ გოლეთიანი და ავდიდ სადინაძე. სამივენი სულ ახალგაზრდები, 22 წლისანი არიან.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისტემის სამართლის საქმეთა კოლეგიამ ე. ხითარიშვილის თავმჯდომარეობით რ. ცვარიანსა და თ. გოლეთიანს სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულების დროს გუშაგის მოკვლისათვის 15-15 წლის, ხოლო ა. სადინაძეს 10 წლის პატიმრობა მიუსაჯა.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

სასამართლოს დარბაზიდან

სად დაიზარდნენ, რამ გაამხეცათ?!

თქვენს ხალხს, ისტორიულ ძეგლებს...

— რაკი ბუხარელი ხართ, ბაქოს მეჩიფები ვერ გადაკვირვებთ, თქვენს ქალაქში ნამყოფი ვარ... ხალხიც შესანიშნავია, სტუმართმოყვარე. მე კი თბილისელი ვარ, ჩემს მეგობარს აქ ავტოავარია შეემთხვა და იმიტომ ვარ ჩამოსული, შეკეთებული, თბილისში იმდენი საქმე მელის, ვინ მოთვლის, დღესვე უნდა დავბრუნდე..

ბედიც ამას ჰქვია, კაცი უკეთესს რომ ვერ ინატრებ, ისე გამოვიდა, მანქანის მართვაც თუ იცის, ხომ მთლად გიგავთდი, თბილისამდე საჭესთან ხან მე ვიქნები და ხან ის, გახარებული ფიქრობდა ბუხარელი მოგზაური და თვალწინ წარმოუდგა რაც კი გაეგონა თუ წაეკითხა თბილისზე, ქართველი კაცის სტუმართმოყვარეობაზე. ბაქოს დაბრუნებისას დავათვალიერებ. ნამდვილად ღმერთმა გამომიგზავნა ასეთი ღვთისნიერი კაცი...

ახალგაცნობილებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, მანქანაში ჩასხდნენ და თბილისისაკენ გამოსწიეს.

სასტუმროში როგორ გაგიშვებ, ჩემთან უნდა დაგაბინაო. მე ვიქნები მასპინძელიც და გიდიც. სანამ თბილისის ქუჩებში ავტომობილის ტარებას შეეჩვევი, საჭესთან მე ვიქნები. ვადიმ ყურებინი მოხიბლული იყო ახალგაცნობილით და თბილისი კიდევ უფრო და უფრო ლამაზი ეჩვენებოდა.

— აი, ესეც ჩემი სახლიო,—მიუთითა კეცოველის ქუჩაზე ერთ-ერთ სახლზე მასპინძელმა და ავტომობილი დაამუხრუჭა. — ამოდენა გზა გამოვიარეთ, დაღლილები და დამტვერილები ვართ. დავსუფთავდეთ, დავისვენოთ და მერე მთაწმინდაზე ავიდეთ. მანქანა ეზოში შევიყვანოთ, შენ ჭიშკარი გამოაღე, შესასვლელი ვიწროა და მე შემოვიყვან.

ვადიმ ყურებინმა ჭიშკარს მიაშურა, გვერდზე გახედა ვერ მოასწრო, რომ ავტომობილი და მასპინძელი ცამ ჩაყლაპა, თუ მიწამ, ვერაფერი გაიგო. აქეთ ეცა, იქით ეცა, მილიციაშიც მივიდა, მაგრამ „ეიგულისა“ და თბილისელი მასპინძლის ასავალ-დასავალი ვერვინ გაიგო.

...ბოლო ხანს თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში დაიდეს ბინა შავ ბაზარზე ავტომანქანებით მოვაჭრეებმა. რა ფირმისა და მოდიფიკაციის ავტომობილს არ შეხვდებით აქ, მუშტარი და გამყიდველი ერთმანეთში ირევა. ამ დღეებში შავ ბაზარზე უნომრო „ეიგული“ შემოაგელვა, ასე, ოცდაათწელს გადაცილებულმა კაცმა და ბაზარს ამაყად გადახედა. ავტომობილს მუშტარი უმალ შემოესია.

— ჰაიდით?

— ვყიდი, აბა აფრიკაში თქვენი ლამაზი თვალების სანახავად ხომ არ მოვიდოდი. არც მეტი, არც ნაკლები, თორმეტი უნდა. ვაჭრობა და „ცოტა დამიკლე“ არ გამაგონოთ. თუ ხელს გაძლევთ, თქვენი ფული და ჩემი მანქანა.

— ნამდვილად უნაკლო მანქანაა, ამას ხელიდან ვერ გავუშვებ, — გაიფიქრა იქვე მდგომმა ზურაბ აკოფაშვილმა და შეეკეპრა. გამყიდველი ნაღვარი ალი გამოდგა და, მართლაც, კაპიკი რომ კაპიკია, ფეხი არ მოუცვალა.

გახარებულმა ზ. აკოფაშვილმა თორმეტი ათასი მანეთი სახლიდან სიხარულით გამოარბენინა და მანქანის გამყიდველს მისცა.

— ეხა, ბენზალე ჯერ საკომისიოში წავიდეთ, ყიდვა-ნაყიდობა გავაფორმოთ და ანგარიშიც მაშინ გავასწოროთ. ისე, ფული რომ არ დაგეკარგოს, მაგ წინა უჯრაში ჩადე.

ზ. აკოფაშვილი მოხიბლული იყო ამ კაცის მრავალსიტყვაობით და ისე მოიქცა, როგორც მან უკარნახა.

— მგონი საბურავიმა დაუშვა, ამა ერთი ნახე, — უთხრა ზ. აკოფაშვილს. — მართლაც საბურავი დაშვებული ბრძანდა. — საბარგული გახსენი და ინარიღები გადმოიღე. ზ. აკოფაშვილი უსიტყვოდ ასრულებდა ბრძანებას. ამ დროს კი მანქანის გამყიდველმა ფულს უჯრიდან საკუთარ ჯიბეში გადაუნაცვლა ადგილი.

გამოცვლეს საბურავი და გზა საკომისიო მაღაზიისაკენ განაგრძეს. წერეთლის პროსპექტზე მანქანა გაიჩერეს. მანქანის პატრონმა ზ. აკოფაშვილს მოუბოდიშა, აგერ საქმე მაქვს, ჰა შენ, გასაღები და მანქანასთან დარჩი, ამ წუთში დაბრუნდებიო, და იქვე სადარბაზოში შეეკარა.

დიდხანს ელოდა სადარბაზოსთან კლიენტი გამყიდველს, მაგრამ ამაოდ...

ზ. აკოფაშვილი მილიციაში მივიდა და განაცხადა, რომ ასეთმა და ასეთმა აფერისტმა ენმორო მანქანა შემომიჩერ